



იურიდიული დახმარების სამსახური

წლიური ანგარიში 2023





**იურიდიული
დახმარების
სამსახური**

**წლიური
ანგარიში
2023**

დირექტორის მიმართვა



დავით სიმონია
სსიპ იურიდიული დახმარების
სამსახურის დირექტორი

დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, შესაბამისად, სამსახურის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება უფასო იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.

2023 წლიდან შესაძლებლობა მომეცა სათავეში ჩავდგომოდი იურიდიული დახმარების სამსახურს, რაც საშუალებას მაძლევს, თითოეულ თანამშრომელთან ერთად, განვახორციელო არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ეფექტურ განხორციელებასა და საზოგადოების მაღალი სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას.

როგორც მოგეხსენებათ, იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც იცავს მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებს, მათ შორის სოციალურად დაუცველთა, არასრულწლოვანთა, ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებებს და არამარტო.

ჩვენ ყოველწლიურად აქტიურად ვმუშაობთ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობისა და სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაზე, ვატარებთ შესაბამის რეფორმებს. ამასთან, სამსახურის მანდატი მუდმივად მზარდია, რასაც ცხადყოფს მოქალაქეთა მომართვიანობა, აღნიშნული კი პირდაპირ პროპორციულად აისახება სამსახურის მიერ ნაწარმოებ საქმეთა სიმრავლესა და სტატისტიკურ მონაცემებზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამსახურის მიზანს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და უფასო იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. 2023 წელი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა აღნიშნული კუთხით, ვინაიდან წლის ბოლოს, სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების რაოდენობამ შეადგინა - 18, ხოლო საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობამ - 42.

2023 წელს გაიხსნა სპეციალიზებულ საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო და დასავლეთ საქართველოს განსა-

კუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო, რომელ-
თაც ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე ექვემ-
დებარებათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის
გადაცემული და სტრატეგიული სამართალწარმოე-
ბისათვის მნიშვნელოვანი სისხლის, სამოქალაქო
და ადმინისტრაციული საქმეები.

ამასთან, სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია
ადვოკატების მიერ განეული იურიდიული მომსახუ-
რებისა და კონსულტაციის ხარისხის მაღალი სტან-
დარტის დანერგვა, შესაბამისად მუდმივად ვზრუ-
ნავთ ადვოკატთა მიერ განეული მომსახურების
ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფაზე.

გარდა აღნიშნულისა, 21-ე საუკუნეში, ტექნოლო-
გიურმა პროგრესმა ცხადყო ხელოვნური ინტელექ-
ტის როლი და მნიშვნელობა ადამიანთა ყოველ-
დღიურ ცხოვრებაში. ციფრული პლატფორმები და
საშუალებები იქცა უამრავი მიმართულებით საქმი-
ანობის უწყვეტობის უზრუნველყოფის ერთგვარ გა-
რანტად. ხელოვნური ინტელექტი უკვე არის ჩვენი
სამსახურის ყოველდღიურობის ნაწილი, რაც გვაძ-
ლევს საშუალებას მოვარგოთ იგი ჩვენს საქმიანო-
ბას და გავხადოთ იგი უფრო მარტივი, გონივრული
და ეფექტური.

სამსახურისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი გან-
ვითარება და წინსვლა სამართლებრივ სივრცე-
ში, რათა უფასო იურიდიული დახმარება იყოს ყვე-
ლასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი, რაც თავის
მხრივ უზრუნველყოფს უფასო სამართლებრივი
სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერების
ამაღლებას და ადამიანის უფლებათა დაცვის მა-
ღალ სტანდარტს. სწორედ ამიტომ, სამსახური ძალ-
-ღონეს არა იშურებს, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს
უფასო იურიდიული დახმარების სისტემა, რაც ერთ-
-ერთი მთავარი წინაპირობაა ევროპულ სტანდარ-
ტებზე დაფუძნებული, ადამიანის უფლებებისა და
თავისუფლებების დაცვით განმტკიცებული სახელ-
მწიფოს მშენებლობის.

სარჩევი

I.	იურიდიული დახმარების სამსახური და მისი მანდატი	9
	1. იურიდიული დახმარების სამსახური	10
	2. სამსახურის მანდატი 2023 წელს	10
	2.1. სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში	10
	2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში	11
II.	იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა	16
	1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი	17
	2. იურიდიული დახმარების საბჭო	18
	3. იურიდიული დახმარების სამსახურის აკარატივის სტრუქტურა	19
	3.1. აპარატი	19
	3.2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები	20
	3.3. დისტანციური მომსახურების ცენტრი	22
	3.4. მობილური საკონსულტაციო ცენტრი	22
	3.5. საზოგადოებრივი ადვოკატები	23
	3.6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია	24
	4. სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები	25
	5. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა	26
III.	იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობა	27
	1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა	28
	2. მობილური საკონსულტაციო ცენტრის გახსნა	30
	3. სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს გახსნა	31
VI.	შეხვედრები	33
V.	ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი	40
	1. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები	41
	1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანია	45
	1.3. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ შეხვედრა	46
	1.4. ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა	47
	2. იცოდე შენი უფლება 18 წლამდე	50
	3. პროექტი „პარალელგალი“	54
	3.1. პროექტის მიზანი	54
	3.2. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები პარალელგალების ჩართულობით	55
	3.3. იმპლემენტებული პროცესები პარალელგალების მონაწილეობით	58
	3.4. პროექტ პარალელგალების ფარგლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები	59

VI. პროექტები	63
1. იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესება თავშესაფრის მაძიებელთათვის საქართველოში	64
1.2. ტრენინგები, შეხვედრები	65
2. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ძსელის (კორტალი)	66
VII. იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგები	67
VIII. ჟურნალები	70
1. „საზოგადოებრივი ადვოკატი“	71
IX. სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	72
X. განზრძობადი განათლება	78
1. სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები	79
2. იურიდიული კლინიკა	83
3. იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი კორტალი	84
XI. სამსახურის სამართლებრივი აქტივობები	85
1. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა	86
1.1. რეგიონული კვლევები	86
1.2. მომზადებული ანგარიშები	87
1.3. საერთაშორისო ურთიერთობები და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	87
1.4. საქმისწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	94
1.5. საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში	95
1.6. მემორანდუმები	96
XII. იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა	98
XIII. სამსახურის ადმინისტრაციული საქმიანობა	104
1. სსიკ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა	105
2. საჯარო ინფორმაციის გაცემა	105
3. სამსახურის ფინანსური ანგარიში	109
3.1. 2023 წლის ფინანსური ანგარიში	109
3.2. 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვები	110
3.3. მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი	110
4. იურიდიული დეპარტამენტი	111
4.1. სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები	111
4.2. ადმინისტრაციული წარმოებები	113
4.3. დისციპლინური წარმოებები	113
5. სამსახურის მიერ ნაწარმოები საქმეები (სტატისტიკური ინფორმაცია)	114
5.1. სტატისტიკური მონაცემები	114

XIV. სამსახურის ცნობადობა	120
1. სამსახურის ვებგვერდები	121
2. მედიაში ინფორმაციის გაშუქება	122
3. სამსახურის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლები	122
4. სოციალური ქსელი	123
5. 2023 წლის კოსტების ნახვების რაოდენობა	123
XV. საქველმოქმედო საქმიანობა	136
XVI. სამსახურის ოფისები და საკონტაქტო ინფორმაცია	138





I

იურიდიული
დახმარების
სამსახური და მისი
მანდატი

1. იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას საქართველოს კონსტიტუციის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სამსახურის დებულების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების სამსახური არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის მანდატი 2023 წელს

იურიდიული დახმარების სამსახური გასცემს უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და სამსახურის მანდატის ფარგლებში იურიდიულ დახმარებას.

იურიდიული კონსულტაცია – ყველასთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი რჩევა ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.

იურიდიული დახმარება – სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფოს ხარჯზე.

იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი / გადახდისუუნარო პირი

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, გადახდისუუნარო პირი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილების თანახმად: გადახდისუუნაროდ ითვლება სოციალურად დაუცველი პირი, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 ან ნაკლებს;

გარდა ამისა, გადახდისუუნაროდ, ასევე, ითვლება 100 000 ან ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, რომელიც მიეკუთვნება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს:

- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წელს მიუღწეველი ბავშვი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

2.1. სამსახურის მანდატი სისხლის სამართალში

იურიდიული დახმარების სამსახური სისხლის სამართლის საქმეებში წარმოადგენს გადახდისუუნარო ბრალდებულს, თუ ის მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას. გარდა ამისა, წარმომადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებში უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

- ა) თუ არასრულწლოვანია;
- ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- გ) თუ აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;

- დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- კ¹) თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი;
- ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდადებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით თუ ბრალდებულის ან მსჯავრდადებულის ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას; თუ ბრალდებულის ან მსჯავრდადებულის ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდადებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით.

პენიტენციური კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდადებულს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს: ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში. თავის მხრივ, 72-ე მუხლი მოიცავს სახდელის სახეებს, კერძოდ „ვ“ ქვეპუნქტი ეხება საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანას 3 თვემდე ვადით, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტი სამართლო საკანში მოთავსებას 14 დღემდე ვადით.

ბრალდებული, მსჯავრდადებული (18 დან 21 წლამდე პირი)

18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდადებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით (მოთხოვნის შემთხვევაში);

2.2. სამსახურის მანდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს და იცავს შემდეგ პირებს:

გადახდისუუნარო პირი

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაწილში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობა), საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით;

ბრალდებული/მსჯავრდადებული

პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოებისას ბრალდებული/მსჯავრდადებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

სამართალდამრღვევი/სავარაუდო სამართალდამრღვევი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წარმოებისას სავარაუდო სამართალდამრღვევი/სამართალდამრღვევი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუუნარობის შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად;

პაციენტი/მსჯავრდადებული

არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისას პაციენტი/ბრალდებული უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

პაციენტი

პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის სასამართლოში განხილვისას პირი უზრუნველყოფილია იურიდიული დახმარებით, პირის გადახდისუნარიანობის მიუხედავად;

არასრულწლოვანთა დაცვა

ნებისმიერი არასრულწლოვანი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით, მიუხედავად გადახდისუუნარობის ფაქტისა, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებით (სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციის განწევასა და იურიდიულ დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი სარგებლობს უფასო იურიდიული კონსულტაციით, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით საჭიროების შემთხვევაში, ასევე, საადვოკატო მომსახურებით სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობით ადმინისტრაციული წარმოებისას.

მხარდაჭერის მიმღებ პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური საკუთარი უფლებების დასაცავად მხარდაჭერის მიმღებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას საჭიროების შემთხვევაში და წარმომადგენლობას სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

წარმომადგენლობა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით უზრუნველყოფილია, თუ პირისთვის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც უნდა განიხილოს სასამართლომ. ასევე, თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმოადგენს მხარეს სამოქალაქო საქმეზე.

წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ საქმეებზე უზრუნველყოფილია თუ მხარდაჭერის მიმღები პირი წარმომადგენს მხარეს ადმინისტრაციულ საქმეზე.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი მიუხედავად მისი გადახდისუნარობისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა, ასევე, საქმის მნიშვნელობის და სირთულის მიუხედავად.

თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით.

აღნიშნული პირები სარგებლობენ, იურიდიული კონსულტაციით, იურიდიული დოკუმენტების შედგენითა და წარმომადგენლობით ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც განიხილება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული დავა.

დოკუმენტების შედგენა უზრუნველყოფილია მიუხედავად თავშესაფრის მაძიებლის / საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გადახდისუნარიანობის ფაქტისა, ხოლო სასამართლოში წარმომადგენლობა კი, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა და საქმის მნიშვნელობის და სირთულის ფაქტისა.

ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს პირის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ დავას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა / სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და სავარაუდო მსხვერპლებისათვის, თუ საქმეში არ მონაწილეობს მათ მიერ აყვანილი ადვოკატი. იურიდიულ დახმარებაში იგულისხმება, როგორც სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება საჭიროებისამებრ, ასევე, წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით საქმის სირთულისა და მნიშვნელობის მიუხედავად, თუ საქმეში არ მონაწილეობს ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის მიერ აყვანილი ადვოკატი.

წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია, თუ სასამართლო განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი სავარაუდო მსხვერპლი არ არის სავალდებულო იყოს გადახდისუნარო. რაც შეეხება შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხს, აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი აკმაყოფილებდეს გადახდისუნარობის კრიტერიუმს.

იურიდიული დახმარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მსხვერპლის მიმართ ეკონომიკური ძალადობა, როდესაც მსხვერპლს შეზღუდული აქვს წვდომა საერთო შემოსავალზე ან მოძალადე არ აძლევს საერთო მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღება არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტზე და მსხვერპლს, სხვა გარემოებებზე დაყრდნობითაც შეეძლოს საკუთარი გადახდისუნარობის (მძიმე ფინანსური მდგომარეობის) დადასტურება.

იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქ-

მეებზე, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახდისუნარობისა, თუ ეს საქმე ეხება უძრავ ნივთთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსი“, აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხებს და აღნიშნული დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).


სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულისა და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის დაზარალებული, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ კანონის მიხედვით, მიიჩნევა გადახდისუნაროდ, სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით), ხოლო დაზარალებული, რომელიც ამ კანონის მიხედვით არ მიიჩნევა გადახდისუნაროდ, უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) და დასტურდება შემდეგი გარემოება:

- ა) წინა 12 თვის განმავლობაში მისი, როგორც ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატებოდა 6 000 ლარს. ამავდროულად, საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ცნობის გაცემის მომენტისთვის არსებული თანხის ოდენობა არ აღემატებოდა 500 ლარს, ხოლო ბოლო 90 დღის განმავლობაში ანგარიშზე არსებული თანხის ბრუნვა არ აღემატება 1500 ლარს. სხვადასხვა კომერციულ ბანკში ან ერთ ბანკში ერთზე მეტი ანგარიშის არსებობისას, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის ოდენობის დადგენისას მხედველობაში მიიღება ამ ანგარიშებზე არსებული თანხის ჯამური ოდენობა;
- ბ) პირს აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც დასტურდება იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 16 აგვისტოს N115 გადაწყვეტილების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით გადახდისუნაროდ პირად არ მიიჩნევა, უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) და დასტურდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

- ა) „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, პირი არის დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარი;

- ბ) არის მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი და ცხოვრობს მასთან ერთად;
- გ) არის მრავალშვილიანი მშობელი (ჰყავს 3 და მეტი შვილი);
- დ) საპენსიო ასაკს მიღწეული პირია;
- ე) თუ პირს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი;
- ვ) თუ პირი მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობებს;
- ზ) თუ პირი არის LGBTQIA+ წარმომადგენელი;



II

იურიდიული
დახმარების
სამსახურის
სტრუქტურა

1. იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტი



დავით სიმონია -
იურიდიული დახმარების
სამსახურის დირექტორი



ნინო მელაძე -
დირექტორის პირველი მოადგილე



მიხეილ ხურციძე -
დირექტორის მოადგილე



ლევან გვინეტაძე -
დირექტორის მოადგილე

2. იურიდიული დახმარების საბჭო



სოფო ჩაჩავა - იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისაგან შერჩეული წევრი);

ირაკლი გვარამაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან შერჩეული წევრი);



თორნიკე ჭავჭავაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;



თეა ჭავჭავაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



რამაზ გინვალაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



თორნიკე ბაქრაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;



ელენა ლულუბაური - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;




ნათი ირემაძე - იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური;

3. იურიდიული დახმარების სამსახურის აკარატივის სტრუქტურა

3.1. აპარატი

- 1. იურიდიული დეპარტამენტი:**
 - 1.1. იურიდიულ საქმეთა და ადმინისტრაციული წარმოების სამმართველო;
 - 1.2. სასამართლოში და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობის სამმართველო.
- 2. ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.**
- 3. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი:**
 - 3.1. სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო;
 - 3.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო;
 - 3.3. სპეციალიზებულ საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველო.
- 4. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;**
- 5. საქმისწარმოების სამმართველო;**
- 6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო;**
- 7. ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამმართველო;**
- 8. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;**
- 9. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველო;**
- 10. ელექტრონული სისტემების მართვისა და ინფორმაციის დამუშავების სამმართველო;**
- 11. სასწავლო ცენტრი;**
- 12. სამდივნო.**



3.2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

იურიდიული დახმარების 18 ბიურო

1. თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
2. სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო;
3. მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
4. თელავის იურიდიული დახმარების ბიურო;
5. სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო;
6. რუსთვის იურიდიული დახმარების ბიურო;
7. გორის იურიდიული დახმარების ბიურო;
8. ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
9. ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო;
10. ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო;
11. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო;
12. ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო;
13. ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო;
14. ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
15. გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიურო;
16. ბოლნისის იურიდიული დახმარების ბიურო;
17. აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო;
18. დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო.

იურიდიული დახმარების 42 მოქმედი საკონსულტაციო ცენტრი

1. ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი;
2. მესტიის საკონსულტაციო ცენტრი;
3. საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი;
4. ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი;
5. წალკის საკონსულტაციო ცენტრი;
6. მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი;
7. დმანისის საკონსულტაციო ცენტრი;
8. დუისის საკონსულტაციო ცენტრი;
9. დუშეთის საკონსულტაციო ცენტრი;
10. ყვარლის საკონსულტაციო ცენტრი;

11. ლაგოდეხის საკონსულტაციო ცენტრი;
12. შუახევის საკონსულტაციო ცენტრი;
13. ხულოს საკონსულტაციო ცენტრი;
14. ქობულეთის საკონსულტაციო ცენტრი;
15. წალენჯიხის საკონსულტაციო ცენტრი;
16. აბაშის საკონსულტაციო ცენტრი;
17. ჩხორონყუს საკონსულტაციო ცენტრი;
18. სენაკის საკონსულტაციო ცენტრი;
19. მარტვილის საკონსულტაციო ცენტრი;
20. ხობის საკონსულტაციო ცენტრი;
21. ბაღდათის საკონსულტაციო ცენტრი;
22. წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი;
23. ჭიათურის საკონსულტაციო ცენტრი;
24. ქედის საკონსულტაციო ცენტრი;
25. ცაგერის საკონსულტაციო ცენტრი;
26. ლენტეხის საკონსულტაციო ცენტრი;
27. ონის საკონსულტაციო ცენტრი;
28. ხაშურის საკონსულტაციო ცენტრი;
29. ახმეტის საკონსულტაციო ცენტრი;
30. დედოფლისწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;
31. ხარაგაულის საკონსულტაციო ცენტრი;
32. ტყიბულის საკონსულტაციო ცენტრი;
33. სამტრედიის საკონსულტაციო ცენტრი;
34. ხონის საკონსულტაციო ცენტრი;
35. ვანის საკონსულტაციო ცენტრი;
36. ლანჩხუთის საკონსულტაციო ცენტრი;
37. ადიგენის საკონსულტაციო ცენტრი;
38. თეთრიწყაროს საკონსულტაციო ცენტრი;
39. რუხის საკონსულტაციო ცენტრი;
40. ქარელის საკონსულტაციო ცენტრი;
41. გარდაბნის საკონსულტაციო ცენტრი;
42. თიანეთის საკონსულტაციო ცენტრი;



**2026 წლამდე
იზაგება უმდები
საკონსულტაციო
ცენტრების გახსნა:**

- 43. ასპინძის საკონსულტაციო ცენტრი;
- 44. ნინოწმინდის საკონსულტაციო ცენტრი;
- 45. ჩოხატაურის საკონსულტაციო ცენტრი;
- 46. ბორჯომის საკონსულტაციო ცენტრი;
- 47. საგარეჯოს საკონსულტაციო ცენტრი;
- 48. კასპის საკონსულტაციო ცენტრი;
- 49. ყაზბეგის საკონსულტაციო ცენტრი;

3.3. დისტანციური მომსახურების ცენტრი

დისტანციური მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს წეროვანში, დევნილთა დასახლებაში. ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია კომპიუტერი, რომლის გამოყენებითაც დევნილებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სკაიპის ან სხვა სახის ჩათის საშუალებით დისტანციურად მიიღონ სამართლებრივი კონსულტაცია.

3.4. მობილური საკონსულტაციო ცენტრი

«მობილური საკონსულტაციო ცენტრი» არის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სპეციალური მიკროავტობუსი, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა კონფიდენციალურობის დაცვით, საჭირო შემთხვევაში მომზადდება სამართლებრივი დოკუმენტები. ცენტრი გასვლით ღონისძიებებს ახორციელებს უმეტესად მაღალმთიან ან კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებს, სადაც იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები მოშორებით მდებარეობს.

3.5. საზოგადოებრივი ადვოკატები

იურიდიული დახმარების ბიურო	საზოგადოებრივი ადვოკატები	ბიუროს უფროსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	42	1
სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	19	1
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	15	1
თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	7	1
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	4	1
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	11	1
ზესტაფინის იურიდიული დახმარების ბიურო	7	1
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	8	1
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	15	1
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	6	1
ადმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო	1	1
დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო	1	1

3.6. საზოგადოებრივი ადვოკატების სპეციალიზაცია

იურიდიული დახმარების ბიურო	სისხლის სამართლის სპეციალიზაცია	სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	ბავშვის უფლებათა კოდექსი
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	36	29	32	19
სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	14	11	13	11
მცხეთის იურიდიული დახმარების ბიურო	6	6	5	5
გორის იურიდიული დახმარების ბიურო	6	6	5	2
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიურო	13	10	12	6
თელავის იურიდიული დახმარების ბიურო	6	7	6	5
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო	4	2	4	2
ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო	11	8	11	5
ზესტაფინის იურიდიული დახმარების ბიურო	5	6	5	2
ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო	8	6	7	2
ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო	6	4	6	4
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიურო	11	7	9	6
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო	4	4	2	5
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიურო	5	4	4	2
აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო	1	1	1	1
დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო	1	1	1	1

4 სამსახურის საშტატო ნუსხა, კონკურსები

იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულის რაოდენობა შეადგენს 215 საშტატო ერთეულს.

2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციებზე დასაქმებულია 167 თანამშრომელი. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია 177 **თანამშრომელი (მათ შორის 24 მძღოლი და 19 ბიუროს სპეციალისტი). მათ შორის, დროებითი ფუნქციების შესრულების მიზნით წლის სხვადასხვა პერიოდში დასაქმებულ იქნა 18 თანამშრომელი.**

2023 წელს, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა 35 გამარტივებული და 19 ღია კონკურსი.

სამსახურის აპარატში, იურიდიული დახმარების ბიუროებში და საკონსულტაციო ცენტრებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად კანდიდატი შერჩეულ იქნა შემდეგ პოზიციებზე:

პოზიციის დასახელება	რაოდენობა
ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი	1
სასამართლოში და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი	1
სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	11
რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	2
სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს მძღოლი	1
სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე	2
ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მძღოლი	2
სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მძღოლი	2
ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს მძღოლი	1
სპარსული ენის თარჯიმანი	1
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის თანაშემწე	1
თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტი	1
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი	1
სპეციალიზებულ საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი	1
სისხლის სამართლის საქმეთა ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი	1
საქმისწარმოების სამმართველოს საქმისწარმოებელი	1
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი	1
ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტი	1
ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტი	2

იურიდიულ საქმეთა და ადმინისტრაციული წარმოების სამმართველოს იურისტი	1
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი	1
ელექტრონული სისტემების მართვის და ინფორმაციის დამუშავების სამმართველოს იურისტი	1
რეგიონალური მენეჯერი	1
ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის იურისტ-ანალიტიკოსი	1
ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამმართველოს შესყიდვების სპეციალისტი	1
სასამართლოში და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობის სამმართველოს იურისტი	1
ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს უფროსი	1
თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სპეციალისტი	1

5. სტაჟირება, იურიდიული კლინიკა

იურიდიული დახმარების სამსახურის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბებულია სამსახურის იურიდიული კლინიკა. იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტების ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის კლინიკური სწავლება ხორციელდება იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში. კლინიკის მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მენტორ ადვოკატთან ერთად განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა.

2023 წელს, იურიდიული კლინიკის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურში სტაჟირება გაიარა 13 სტუდენტმა.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 4 სტუდენტი;

2023 წელს, სამსახურში პირადი განცხადების საფუძველზე სტაჟირება გაიარა 9 სტაჟიორმა.



III

იურიდიული
დახმარების
სამსახურის
ხელმისაწვდომობა

1. ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდა

2023 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა რეგიონებში გახსნა 6 საკონსულტაციო ცენტრი. კერძოდ:

- კონფლიქტისპირა ზონის სოფელი რუხი, რომელიც ემსახურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას - 2023 წლის 28 თებერვალს.
- გარდაბნის საკონსულტაციო ცენტრი - 2023 წლის 11 ივლისს;
- თიანეთის საკონსულტაციო ცენტრი - 2023 წლის 2 მარტს;
- ქარელის საკონსულტაციო ცენტრი - 2023 წლის 1 მარტს;
- ბოლნისის იურიდიული დახმარების ბიურო - 2023 წლის 14 სექტემბერს;
- თეთრიწყაროს საკონსულტაციო ცენტრი - 2023 წლის 14 სექტემბერს;

გარდა ამისა, 2023 წლის 7 ივლისს გაიხსნა სპეციალიზებულ საქმეთა ბიურო, ხოლო წლის ბოლომდე ამოქმედდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიუროები ქუთაისსა და თბილისში.

2023 წლის ბოლოს, სამსახურის ბიუროების რაოდენობამ შეადგინა 18, ხოლო საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობამ - 42.

საკონსულტაციო ცენტრების გახსნასთან ერთად, თითოეულ ლოკაციაზე, ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან და სოფლების რწმუნებულებთან გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები. შეხვედრაზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ტრეფიკინგი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- დისკრიმინაცია;



28 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დავით სიმონიამ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა ნანა გაბელიამ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გახსნეს. საკონსულტაციო ცენტრის საქმიანობის მიზანია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დახმარება.

შეხვედრაზე აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე - რუსლან აბაშიძემ განმარტა: „უაღრესად მნიშვნელოვანია რუხში საკონსულტაციო ცენტრის არსებობა, რადგან ეს ადგილი ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოსაა და უფასო სამართლებრივი დახმარება მნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი გახდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობისთვის, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ყველას შეუძლია უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება, მათ შორის დევნილებსაც“.



1 მარტს, ქარელში, იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. ცენტრში შესაძლებელი იქნება უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. აქამდე ქარელის მოსახლეობას საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტის მომსახურების მიღებისთვის გორის იურიდიული დახმარების ბიუროში ჩასვლა უწევდათ. ამჯერად, უფასო სამართლებრივი დახმარება ქარელის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია.



2 მარტს, თიანეთში იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. საკონსულტაციო ცენტრის ოფისი გახსნა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დავით სიმონიამ და თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ზურა ცისკარიშვილმა. თიანეთის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი სოფლების მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემათ უფასოდ მიიღონ სამართლებრივი დახმარება.



11 ივლისს, გარდაბანში (დავით აღმაშენებლის ქ.# 127) გაიხსნა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. ლენტი გაჭრეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვუგარ მამედოვმა. გარდაბნის საკონსულტაციო ცენტრი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალებას მისცემს ადგილზე ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციით.

14 სექტემბერს, თეთრიწყაროში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. ცენტრში შესაძლებელი იქნება უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

ამავე დღეს გაიხსნა იურიდიული დახმარების ბიურო **ბოლნისშიც**, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მხარეა და მნიშვნელოვანია სამსახურის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2. მობილური საკონსულტაციო ცენტრის გახსნა




18 ოქტომბერს, უფასო სამართლებრივ დახმარებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პირველად ამოქმედდა **“იურიდიული დახმარების მობილური საკონსულტაციო ცენტრი”**. პროექტი იურიდიული დახმარების სამსახურმა გერმანიისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განახორციელდა.

იურიდიული დახმარების მობილური საკონსულტაციო ცენტრის გახსნას დაესწრნენ გერმანიის ელჩი საქართველოში პეტერ ფიშერი, UNDP-ის მოქმედი ხელმძღვანელი საქართველოში ანა ჩერნიშოვა და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია. მათ იურიდიული დახმარების მიწოდების გზებზე და სამსახურის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე გერმანიის ელჩმა საქართველოში პეტერ ფიშერმა განაცხადა: „მობილური საკონსულტაციო ცენტრის მხარდაჭერით ხელს ვუწყობთ მოწყვლადი ჯგუფების იურიდიულ დახმარებას, რომელთაც ეს მომსახურება განსაკუთრებით სჭირდებათ, და სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნას“

საქართველოში UNDP-ის მოქმედი ხელმძღვანელის ანა ჩერნიშოვას მოსაზრებით „მართლმსაჯულება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ჩვენი ინიციატივა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იმის უზრუნველყოფაში, რომ საზოგადოების მოწყვლადმა და დაუცველმა ჯგუფებმა სრულყოფილად განახორციელონ თავისი უფლებები და მიიღონ ხარისხიანი იურიდიული მომსახურება“ .



მობილური საკონსულტაციო ცენტრის დახმარებით უფასო სასამართლებრივი კონსულტაცია გაენია 500-ზე მეტ ადამიანს. პირველად მობილური ცენტრი გაემგზავრა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში - კონფლიქტისპირა ზონის სოფელში, ხოლო მოგვიანებით კონსულტაციები ჩატარდა შემდეგ ქალაქებსა და სოფლებში: მცხეთაში, სოფელ მუხრანში, თელავში, სოფელ კურდღელაურში, სენაკში, გარდაბანში, რუსთავში, აბაშაში.



3. სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს გახსნა

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს თბილისში იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს გაიხსნა. ლენტი გაჭრეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ, ბიუროს უფროსმა და ILAF -ის პროგრამის დირექტორმა ალან დალმა. ბიუროში დასაქმებულია 19 საზოგადოებრივი ადვოკატი, რომლებიც რამდენიმე განხრით იმუშავენ: სისხლის სამართლის მიმართულებით განხორციელებდა არასრულწლოვანი მოწმის და დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა დაცვა, იმუშავენ საპროცესო შეთანხმების გაფორმების და განაჩენის აღსრულების ეტაპზე შემოსულ საქმეებზე;





სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატები გაუძღვებიან თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმების ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებით შემოსულ საქმეებს; ჩაერთვებიან არასრულწლოვანის მშობლისგან განცალკევებასთან, ნახვის დღეების განსაზღვრასთან, მინდობით აღზრდასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, ჩამორთმევასთან დაკავშირებულ დავებში; ასევე, იმუშავენ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების/ვადის გაგრძელების შესახებ შემოსული საქმეებზე, სამედიცინო, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებზე.

სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს ფუნქციონირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა ინტერესების დაცვას.



IV

შენიშვნები




2023 წლის 5-6 ივლისს, დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ მონაწილეობა მიიღო ქართულ-გერმანულ სამართლებრივ ფორუმში სახელწოდებით „საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე“. ნინო მელაძემ წარადგინა მოხსენება „ადვოკატის როლი მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების საქმეში“.

ქართულ-გერმანული სამართლებრივი ფორუმი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმა. ფორუმი იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ გახსნა. ფორუმში გერმანიის დელეგაციას ხელმძღვანელობს იუსტიციის ფედერალური სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ანჟელიკა შლუნკი. ღონისძიებაში მონაწილეობენ ევროკავშირის სააგენტოს, „ევროჯასტის“ ვიცე-პრეზიდენტი ბოშტიან შკრლეცი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წევრები, პროკურატურის, ადვოკატთა ასოციაციის, პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი პირები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

31 ივლისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ მოდერაცია გაუწია სამუშაო შეხვედრას, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურში მედიაციის დანერგვის საკითხებს მოიცავდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თამარ იმნაიშვილი, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR მრჩეველი ირაკლი გელოვანი, იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს წევრი, ექსპერტი სოფიო ჩაჩავა და სამსახურის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. პროცესში დისტანციურად ჩაერთო საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი. სოფიო ჩაჩავას მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია ეძღვნებოდა მედიაციის როლს ქართულ რეალობაში და იურიდიული დახმარების სამსახურში მედიაციის პროცესის დანერგვას.

დისკუსიის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები მედიაციის როლსა და მნიშვნელობაზე სამართალწარმოების პროცესში და იმ თავისებურებებზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას იურიდიული დახმარების სამსახურში მედიაციის მექანიზმების დანერგვის დროს. გადაწყდა, რომ ამ საკითხზე სამუშაო შეხვედრები კვლავ გაიმართება. შეხვედრა გაიმართა USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით.



2023 წლის 1 აპრილს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ოთხნობიანი ანგარიშის წარდგენა და წარმატებული ადვოკატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. შეხვედრას მოდერაციას უწევდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია, რომელმაც სამსახურის სამომავლო სტრატეგიის შესახებ ვრცლად ისაუბრა. სამსახურში განხორციელებული რეფორმების შესახებ ისაუბრა, იურიდიული დახმარების სამსახურის ყოფილმა დირექტორმა და რეფორმების ავტორმა, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რაჟდენ კუპრაშვილმა. დამსწრე საზოგადოებას მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანმა, დემოკრატიის, უფლებებისა და მმართველობის ოფისი USAID Caucasus -ის სამართლის უზენაესობის პროექტის მენეჯერმა რუსუდან ტაბატაძემ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) უფროსმა მრჩეველმა სამართლებრივ საკითხებში იოჰან ფრანცმა, ევროპის საბჭოს პროგრამის ოფიცერმა ბაქარ ჭიქიამ, იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თეა ქვიშვილმა.

დავით სიმონია, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი: „ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობა უფასო სამართლებრივ დახმარებაზე, გაიხსნა იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები, ჩატარდა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებელი არაერთი კამპანია და რაც მთავარია, შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კონსულტანტების მიერ განუვლი სამართლებრივი დახმარების შეფასების სისტემა, რაც წლების განმავლობაში გამოწვევად რჩებოდა მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში მოქმედი ანალოგიური სისტემისათვის. საქართველო არის ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამ გამოწვევას კვალიფიციურად უპასუხა.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, პარლამენტის წევრები, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები, რომლებსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვით იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმების მხარდაჭერაში. კონფერენციის ბოლოს დაჯილდოვდნენ წარმატებული ადვოკატები, ხოლო დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებს გადაეცათ სპეციალური მადლობის სიგელები.




22 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი და სპეციალისტი მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში. დამსაქმებელთა პანელზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ორგანიზაცია როგორც საბიუჯეტო, ასევე, კერძო სექტორიდან. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს წარუდგინეს პროექტი «პარალელგალები» რომელიც გულისხმობს არაიურისტი პირების გადამზადებას სამართლებრივი საკითხებში, რის შემდეგაც პარალელგალებს შეეძლება პირველადი სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა. პროექტმა ფორუმის სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია. პარალელგალებმა ტრენინგებზე დასასწრებად ათეულობით სტუდენტმა გაიარა რეგისტრაცია. დაინტერესებულ პირებს გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის სპეციფიკა, პირობები და მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი ან სხვა თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი. სამსახურში დასაქმების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს მომავალმა იურისტებმა, რომლებსაც შესაბამისი კონსულტაცია გაეწიათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

2023 წლის 18 სექტემბერს, ქუთაისში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე, USAID/Georgia სამართლის უზენაესობის პროგრამის ინიციატივით და მხარდაჭერით, შეხვდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს. შეხვედრებში ასევე მონაწილეობდა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი. ღონისძიება პროექტ “კარიერული საუბრების” ფარგლებში ჩატარდა. ნინო მელაძე სტუდენტებს ესაუბრა მართლმსაჯულებაში ადვოკატის როლსა და დანიშნულებაზე.

13 ოქტომბერს ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროში სამუშაო შეხვედრა შედგა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის აჭარის და სამეგრელო - ზემო სვანეთის სავლე ოფისის კოორდინატორებთან ნანა პაპიაშვილთან და ნანა წულაიასთან. შეხვედრისას აღინიშნა, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით და კონსულტაციით აჭარიდან განხორცილდა არაერთი სამუშაო მაძიებელთა ლეგალური დასაქმება საზღვარგარეთ. ხაზი გაესვა იმ



ფაქტს, რომ უკანონო მიგრაციას, უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევას თან ახლავს რისკები და ყველა შემთხვევაში წარმოშობს სირთულეებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ქვეყნის დონეზე. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის, უვიზო მიმოსვლის, საქართველოდან ემიგრაციის, საზღვარგარეთ სწავლის, საქართველოში დაბრუნების და სხვა საკითხები. ბიუროს უფროსმა სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმებსა და სამსახურის სერვისებზე. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს თანამშრომლების და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება მოსახლეობასთან და სამომავლო გეგმების განხილვა.



2023 წლის 1 ნოემბერს, დირექტორის პირველმა მოადგილემ, ნინო მელაძემ UNDP-ს წარმომადგენელთან ერთად გახსნა იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის წევრთა შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა ორჭუსის კონვენციის შესაბამისობის კომიტეტის წევრი, პროფესორი თომას შომერუსი და საერთაშორისო ექსპერტი ჩაბა ქიში, რომლებიც საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდნენ. საერთაშორისო ექსპერტებმა ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, ორჭუსის კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი და გარემოსდაცვითი საკითხების გასაჩივრების საერთაშორისო მექანიზმები.

17 ნოემბერს ჩატარდა შეხვედრა ევროპის 42 ქვეყნიდან წარმოდგენილ 300 - მდე სტუდენტთან, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia) მიერ დაორგანიზებულ საერთაშორისო საბჭოს კრების (ICM) ფარგლებში. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა სამსახურის შესახებ და გააცნო არსებული პრაქტიკა. სტუდენტების დიდი დაინტერესება გამოიწვია იურიდიული კონსულტაციების გაცემისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ. რიგით 84-ე საერთაშორისო საბჭოს კრება წელს საქართველოში გაიმართა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ELSA Georgia - ს. ხოლო იურიდიული დახმარების სამსახური, თავის მხრივ, ყოველთვის მხარს დაუჭერს მსგავსი სახის ღონისძიებების განცორციელებას.

20 ნოემბერს, ბათუმში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამამ გამართა კანონის უზენაესობის პირველი ფორუმი. სესიებს უძღვებოდნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის პარტნიორები და იგი მოიცავდა კანონის უზენაესობის აქტიური დაცვის სტრატეგიების გაზიარებასა და განხილვას. დისკუსიების მთავარი ფოკუსი იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კრიტიკული გამოწვევების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება მათ შორის ოჯახურ საქმეებში მედიაციის გამოყენების უპირატესობა. ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს USAID/საქართველოს მისიის დირექტორმა, ჯონ პენელმა; საქართველოს საკონსტი-

ტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, მერაბ ტურავამ; ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა; იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, შალვა კირთაძემ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელმა, თამარ წულუკიძემ. დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ ფორუმის მიმდინარეობისას წარადგინა მოხსენება სამსახურის საქმიანობასთან და ადვოკატის როლთან დაკავშირებით.

2023 წლის 3 დეკემბერს, დირექტორის პირველი მოადგილე, ნინო მელაძე მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის“ სხდომაში. სხდომას უძღვებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში - ნიკო თათულაშვილი. სხდომის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის დადგენილებით შექმნილი თემატური სამუშაო ჯგუფების მიერ განხილულ თემებზე. სხდომის დასასრულს გაიმართა დისკუსია და ხაზი გაესვა შშმ პირთათვის არსებულ საჭიროებებს, რომელთა მოსაგვარებლადაც საკონსულტაციო საბჭო და კომიტეტი განაგრძობენ მუშაობას.

2023 წლის წლის 6-7 დეკემბერს, დირექტორის პირველი მოადგილე, ნინო მელაძე მონაწილეობდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის ინიციატივითა და გაეროს სააგენტოების და ევროკავშირის წარმომადგენლობის დახმარებით გამართულ შეხვედრაზე, სადაც სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (2024-2026 წწ.) დამტკიცების საკითხები. შეხვედრაზე უწყებების წარმომადგენლებმა უპასუხეს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა კითხვებს გეგმაში გათვალისწინებულ აქტივობებთან და უწყებების მიერ აღებული ვალდებულებებთან დაკავშირებით.



8 დეკემბერს, ევროპის საბჭოს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა იურიდიული დახმარების შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარლამენტის, იურიდიული დახმარების საბჭოს, სამსახურის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და რამდენიმე ბიუროს ხელმძღვანელი. შეხვედრას მოდერაციას უწევდა ევროპის საბჭოს პროექტის კოორდინორი ბაქარ ჯიქია. სპეციალური მოხსენებები წარმოადგინეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ, ევროპის საბჭოს საქართველოს და აზერბაიჯანის პროექტების ხელმძღვანელმა მაჰირ მუშტიედადამ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალუდა ლუდუშაურმა. შეხვედრის მიმდინარეობისას ევროპის საბჭოს ექსპერტმა ჯონ ომსმა წარმოადგინა **შეფასება და რეკომენდაციები სამსახურის საქმიანობის შესახებ და პირველადი ანგარიში საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოში განსახორციელებელი**

ცვლილებების თაობაზე, ასევე მოსაზრებები „საქმის მნიშვნელობისა და სირთულის“ შესახებ, საქმის არსებითი მხარის შეფასების ქრილში. ექსპერტის რეკომენდაციებისა და შიდა სამსახურის საჭიროებებიდან გამომდინარე, დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია კანონში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. ევროპის საბჭოს ექსპერტი ჯონ ომსი დირექტორის პირველ მოადგილეს ნინო მელაძის თანამშრომლობით რამდენიმე თვის მანძილზე სწავლობდა იურიდიული დახმარების სისტემას შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებისათვის.


2023 წლის 10-14 დეკემბერს, დირექტორის პირველი მოადგილე, ნინო მელაძე მონაწილეობდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც „ბარნაპუსში“ ჩართულმა უწყებებმა ერთმანეთს გაუზიარეს არსებული გამოცდილება და გამოწვევები. შეხვედრას ესწრებოდა ბრაგი გუდბრანსონი, „ბარნაპუსის“ მოდელის ავტორი და ემა ჰეარვუდი, გაერთიანებული სამეფოს პირველი „ბარნაპუსის“ თანადამფუძნებელი, რომლებმაც დეტალურად უპასუხეს შეკითხვებს და მონაწილეებს გააცნეს ევროპაში არსებული „ბარნაპუსების“ კონცეფცია, მისი განვითარების ისტორია და მიმდინარე მიღწევები. შეხვედრის შეჯამება განხორციელდა მთავრობის ადმინისტრაციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან, ნიკო თათულაშვილთან შეხვედრით. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელი საქართველოში, იასპერ მოლერი და ამავე ორგანიზაციის თანამშრომლები.



12 დეკემბერს, გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის - „იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მარგინალიზირებული მოსახლეობისთვის“ დახურვის ღონისძიება. ღონისძიება გახსნეს და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის პროექტის უფროსი ოფიცერმა გიორგი გიორგაძემ, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ნატალია ვუტოვამ, ადამიანის უფლებათა, მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის სტანდარტების დანერგვის დეპარტამენტის უფროსმა და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორმა ფრედერიკ დოლტმა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ, მედიატორთა სოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა. დამსწრე საზოგადოებას პროექტის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ ნინო მელაძემ. ღონისძიების ბოლოს გაიმართა HELP-ის პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებულების დაჯილდოება. შეგახსენებთ, HELP გახლავთ ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელშიც იურიდიული დახმარების 23 თანამშრომელი სამი თვის განმავლობაში ინტენსიურად გადიოდა სწავლებას თემაზე - „სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები“.

V

ვაქცინით კანონი
ყველასათვის
ხელმისაწვდომი



2021 წლის 11 ივნისს ხელმოწერილი დეკლარაციის ფარგლებში, საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მოძრაობას „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“. აღნიშულის ფარგლებში ჩატარდა არაერთი ღონისძიება და საინფორმაციო შეხვედრები.

1. გასვლითი საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები

2023 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ჩაატარა 74 საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 4000-მდე ადამიანი. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ ლოკაციებზე:

- თბილისი
- ზუგდიდი
- ქარელი
- ქუთაისი
- თიანეთი
- ქობულეთი
- ალამბარი, ქაქუთი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)
- ფოთი
- თვარები (კასპის მუნიცი.)
- ნიქოზი (გორის მუნიცი)
- კაკლიანი, ყარაჯალა, გომბორი კურდღელაური (თელავის მუნიციპალიტეტი.)
- კაბალი (ლაგოდეხის მუნიცი)
- ონი
- ბათუმი
- ქედა
- ბარალეთი, ხანდო, დელისკი, კარტიკამი (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი)
- დამალა, დადეში (ასპინძის მუნიციპალიტეტი)
- ნინოწმინდა
- ჭირგაშენი (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)
- პერევი (საჩხერის მუნიციპალიტეტი)
- გარდაბანი
- გეგელიძეები (ქედის მუნიციპალიტეტი)
- ახალციხე
- თეთრინყარო
- ბოლნისი
- შუახევი
- ახალი აბასთუმანი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი)
- ხელვაჩაური
- მარნეული
- მესტია
- ბეჩო (მესტიის მუნიციპალიტეტი)
- რუსთავი
- სენაკი



შეხვედრის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში და დახმარების მიღების კრიტერიუმები;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, ეთიკის საკითხები;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
- ბავშვის უფლებები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები;
- ტრეფიკინგი;
- შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები;
- დისკრიმინაცია;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- მინის სისტემური რეგისტრაცია;
- მემკვიდრეობა;



23 მაისს, ზუგდიდის მუსიკალური სკოლის შენობაში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია შეხვდა ზუგდიდსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას. დავით სიმონიამ შეკრებილ საზოგადოებას მიანწოდა ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემისა და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ, რომლითაც სარგებლობს როგორც დევნილი, იძულებით გადაადგილებული, ასევე რიგითი მოსახლეობა. აუხსნა, თუ როგორ შეუძლიათ მათ ისარგებლოს უფასო სამართლებრივი კონსულტაციითა და საადვოკატო მომსახურებით; გააცნო მობილური აპლიკაცია LAS GEORGIA, რომელიც თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს ნებისმიერი ადგილიდან, ოფისში მიუსვლელად გამოაგზავნოს სამართლებრივი შეკითხვა და მიიღოს კვალიფიციური პასუხი იურისტებისაგან.

დირექტორმა დევნილებს წარუდგინა ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლები, ასევე რუხის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი, რომელიც დახმარებას უწევს როგორც დევნილებს, ასევე კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას. ისინი ენგურის ხიდის გავლით პერიოდულად გადმოდიან საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებით სარგებლობენ, შეხვედრის მეორე ნაწილში დევნილებმა სამართლებრივი შინაარსის კონკრეტული შეკითხვები დასვეს და კომპეტენტური პასუხებიც მიიღეს. გადანყდა, რომ მსგავსი სახის შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება.



2023 წლის 24 ივლისს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ, იურიდიული დახმარების სამსახურის ახალციხის ბიუროს უფროსი შეხვდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს. შეხვედრის თემა იყო საჯარო მოსამსახურეთა შრომითი უფლებები. ბიუროს უფროსმა ვრცლად ისაუბრა საჯარო მოხელის, შრომითი ხელშეკრულებით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების უფლებებზე, საჯარო მოსამსახურისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნის უფლებაზე, ზეგანაკვეთური და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებაზე, მოხელის პროფესიული განვითარების უფლებაზე, მოხელის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანის მოთხოვნის უფლებაზე, მოხელის დაღუპვისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას შემთხვევაში დახმარების მიღების უფლებაზე და სხვა საკითხებზე, რომელიც მერიის თანამშრომლებისთვის საინტერესო იყო.

14 სექტემბერს, თეთრიწყაროში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, სოფლების რწმუნებულებს, მერიისა და საკრებულოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის, დახმარების მიღების კრიტერიუმების, სამსახურის პროექტების შესახებ. დაინტერესებულ პირებს გაენიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.

ამავე დღეს, ანალოგიური შეხვედრა გაიმართა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობაშიც, სადაც შეხვედრას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. დავით სიმონიამ პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა. კონსულტაციის ძირითადი საკითხები მიწის რეგისტრაციასა და საბანკო სესხებს შეეხებოდა.


10 ოქტომბერს, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში, აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტურ მექანიზმზე, გენდერული თანასწორობის დაცვის გარანტიების შესახებ, საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებზე. აღნიშნულის შესახებ მიმოხილვა გაკეთდა სტრანსბურგის სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით. ტრენინგზე ახალგაზრდებმა შეასრულეს ინდივიდუალური და გუნდური სავარჯიშოები. საინფორმაციო ტრენინგს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 40 ახალგაზრდა დაესწრო.

17 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე ლევან გვენეტაძე და სხვა წარმომადგენლები რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის წარმომადგენლებს და მოსახლეობას შეხვდნენ. სამსახურის წარმომადგენლებმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები. ასევე, წარადგინეს იურიდიული დახმარების სამსახურის მობილური საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც გერმანიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, პროექტის “კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის” ფარგლებში შეიქმნა.

ამავე დღეს შეხვედრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიას, სოფლების რწმუნებულებსა და მოსახლეობას შეხვდნენ. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ლევან გვენეტაძემ და შეკრებულ საზოგადოებას გააცნო უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა საქართველოში, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, დახმარების მიღების კრიტერიუმები და წარუდგინა „მობილური საკონსულტაციო ცენტრი“, რითაც ისარგებლეს გარდაბნელებმა - მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა.



8 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის სამსახურის წარმომადგენლები თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს წევრებს და მოსახლეობას შეხვდნენ. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ლევან გვენეტაძემ და ანალიტიკური დეპარტამენტის იურისტმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები და უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები, სამსახურის პროექტები. აღნიშნეს, რომ რეგიონში მოქმედებს იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივი ბიურო და რამდენიმე საკონსულტაციო ცენტრი. შეხვედრის ბოლოს, თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლებმა პირადი იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს დაინტერესებულ პირებს.




15 დეკემბერს, ზუგდიდში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე ლევან გვენეტაძე დაესწრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრას თემაზე „დევენილი საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა სამართლებრივ საკითხებსა და სერვისებზე“. შეხვედრის მიზანი იყო აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირების სამართლებრივი საკითხების უზრუნველყოფისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა, ცნობიერების ამაღლება მოქმედ სამართლებრივ სერვისებზე, სამთავრობო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გაძლიერება დევნილთა სამართლებრივი დახმარების კუთხით. ლევან გვენეტაძემ შეკრებილ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის იმ სერვისების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის.

1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

მიმართული 16 დღიანი კამპანია

25 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს გლობალური კამპანია „ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“. იურიდიული დახმარების სამსახური არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში. კამპანიის ფარგლებში 2023 წელს ჩატარდა 3 შეხვედრა თბილისში, ფოთსა და ახალციხეში.



2023 წლის 8 დეკემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს უფროსის მოადგილე ცირა გამცემლიძემ, სპეციალისტებმა - თამარ სანიკიძემ და ანა უჩანეიშვილმა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, შეხვედრა გამართეს კოლექტი „მერმისი“. შეხვედრის მიზანი იყო კოლექტის სტუდენტებისა და პედაგოგების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით. ადვოკატებმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს არსებული აქტუალური საკითხის სამართლებრივი ასპექტები, განუმარტეს თუ რა ითვლება ძალადობად და მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რა სანქციებს ითვალისწინებს კანონი ძალადობის შემთხვევაში. ასევე გააცნეს მსხვერპლთა უფლებები და მექანიზმები, რომელითაც შესაძლებელია მოსალოდნელი ძალადობის თავიდან აცილების მცდელობა ან მძიმე შედეგების შემცირება. შეხვედრა ინტერაქტიულად მიმდინარეობდა. კოლექტის წარმომადგენლებმა ასევე მიიღეს დაწვრილებითი ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისების შესახებ. დაინტერესებულ პირებს გაენიათ ინდივიდუალური კონსულტაციები.

29 ნოემბერს ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლებმა ქ. ფოთის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს დოკუმენტური ფილმის ჩვენებაში „ხმა ამოიღეთ!“, რომლის შემდგომ ადვოკატმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სლაიდი ქალთა მიმართ ძალადობა ან /და ოჯახში ძალადობის თემაზე. ასევე, შეკრებილებს მიეწოდათ ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის და სამსახურის საქმიანობის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ: სოციალური მომსახურების სააგენტოს, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის, კოლექტი ფაზისის, ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვ სამსახურების წარმომადგენლები.

კამპანიის ფარგლებში, **10 დეკემბერს** შეხვედრა გიმართა ახალციხეში მცხოვრებ ქალებთან, შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, აქტივისტებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ძალადობაგამოვლილი ადამიანებისათვის დახმარების ძიების გზებისა და არსებული სერვისების

შესახებ. შეხვედრაში იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებიც. ვიზიტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანიზაციის თანამშრომლობის ბიუროს (INL), შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით.

2023 წლის 29, 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს იურიდიული დახმარების სამსახური გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, ამერიკისა და შვედეთის საელჩოებთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ესტუმრა სამცხე-ჯავახეთს. შეხვედრები გაიმართა ახალციხის, სვირის, ბოგას, ტოლოშის, ნაქალაქევის, კარტიკამის, ბუზავეთის და ახალქალაქის მოსახლეობასთან.

შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, აქტივისტებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ძალადობაგამოვლილი ადამიანებისათვის დახმარების ძიების გზებისა და არსებული სერვისების შესახებ. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილე ნინო მელაძემ, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა შორენა ბოჭორიშვილმა და სამსახურის იურისტ-ანალიტიკოსმა შეხვედრების განმავლობაში განსახილველ სერვისებთან ერთად პრევენტაცია გაუკეთეს სამსახურის ახალ წამოწყებას - მობილური საკონსულტაციო ცენტრს, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობის დაინტერესებულ ნაწილს შეეძლო შეხვედრების დასასრულს მიეღო უფასო სამართლებრივი კონსულტაცია.

ვიზიტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბიუროს (INL), შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით.

1.3. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლის საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა 4 საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრა.

17 მარტს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი მონაწილეობდა გამყოფი ხაზის სოფელ ნიქოზში გამართულ გასვლით საინფორმაციო შეხვედრაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და იურიდიული დახმარების საკითხებზე. შეხვედრა ორგანიზებული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ და მასში ასევე მონაწილეობდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის, დეპარტამენტის, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებიც ნიქოზის მოსახლეობასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ზოგადად უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, პრევენციის მექანიზმებზე. იურისტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს მოსახლეობის შეკითხვებს.

15 მაისს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი მონაწილეობდა მოსახლეობასთან შეხვედრაში კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვაურებში. შეხვედრა ორგანიზებული იქნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. კონსულტანტმა კონფლიქტისპირა ზონის სოფელში მცხოვრებლებს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, მიაწოდა ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, დაინტერესებულ პირებს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია.



7 ივლისს, გორის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი მონაწილეობდა კონფლიქტისპირა ზონის სოფელ პერევის (საჩხერის მუნიციპალიტეტი) გამართულ შეხვედრაში. შეხვედრა სამთავრობო გეგმის ფარგლებში განხორციელდა და იგი ორგანიზებული იყოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ. კონსულტანტმა პერევის მოსახლებას გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ესაუბრა ქალთა უფლებებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მან უპასუხა ადგილობრივების მიერ დასმულ კითხვებს. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები.

2023 წლის 29 სექტემბერს, ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ გაიმართა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც გამყოფი ხაზის სოფელ ახალაბასთუმანში გაიმართა. იურისტებმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს უფასო სამართლებრივი დახმარების პირობები, იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები. შეხვედრის ბოლოს ბიუროს წარმომადგენლებმა მოსახლეობის კითხვებს უპასუხეს.

1.4. „ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“

2023 წელს ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა გამართეს 10 შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში 300-მდე ადამიანი დაესწრო.

იურიდიული დახმარების სამსახურის ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი და ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მონაწილეობდნენ **14-28 ივნისს**, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიაში, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. კამპანია ორგანიზებული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ.



შეხვედრები გაიმართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის საჯარო სკოლასა და ბარალეთის იუსტიციის სახლში, სოფლების - ხანდოს და კარტიკამის საჯარო სკოლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების დამალასა და დადემის საჯარო სკოლებში, ნინოწმინდის საჯარო სკოლასა და სოფელ ჭიგრაშენის კულტურის სახლში.

იურისტებმა ადგილობრივ მოსახლეობას გააცნეს იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, ვრცლად ესაუბრნენ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის, ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. თითოეული შეხვედრის ბოლოს ინდივიდუალური კონსულტაციები იქნა განეული ყველა დაინტერესებული პირისათვის.

2023 წლის 25 მაისს კახეთის რეგიონში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის ბიუროს მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორისა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის მოსახლეობასთან. შეხვედრის თემა იყო აგროდაზღვევის პროგრამები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები, ასევე მიწის სისტემური რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობა. შეხვედრის მონაწილეებს იურიდიული დახმარების თელავის ბიუროს ადვოკატმა გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის თავისებურებები და მიზნები. ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია შეხვედრაზე დამსწრე მოსახლეობის წარმომადგენლებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.



2023 წლის 18 მაისს, თელავის იურიდიული დახმარების თელავის ბიუროს ადვოკატი მონაწილეობდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ და მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრა გაიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალის და სოფელ არეშფერანის მოსახლეობასთან. შეხვედრის თემები იყო: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები, ჯანდაცვის პროგრამები და სერვისები, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები, სსიპ ზ.ჯვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა.


ადვოკატმა მოსახლეობას გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის თავისებურებები და მიზნები, კონსულტაცია მოქალაქეებს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზე. კითხვები ძირითადად შეეხებოდა მიწის რეგისტრაციის, უძრავი ქონების და მოსავლის დაზღვე-

ვის, სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხებს.

12 ოქტომბერს, მარნეულში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია შეხვდა საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის წევრებს, აზერბაიჯანული სოფლების წარმომადგენლებს. დავით სიმონიამ მოწვეულ საზოგადოებას გააცნო საქართველოში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა, დეტალურად ისაუბრა იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისებზე. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეგიონში დიდია სამართლებრივი დახმარების საჭიროება და მნიშვნელოვანია განხორციელდეს პროექტები მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.



იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა შეხვედრაზე განაცხადა რომ სამსახური, თავისი საკანონმდებლო მანდატის ფარგლებში. უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის იურიდიულ კონსულტაციას, საადვოკატო მომსახურებას, დოკუმენტაციის შედგენას და კვლავაც მზად არის ისეთი ინიციატივების განსახორციელებლად, რომელიც ხელს შეუწყობს უფასო სამართლებრივ დახმარებაზე მოსახლეობის ხელემისაწვდომობის გაზრდას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ჩატარდება საინფორმაციო კამპანია სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეხვედრაზე დარიგდა აზერბაიჯანულენოვანი ბუკლეტები იურიდიული დახმარების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს COE მხარდაჭერით დამზადდა.





2. იცოდე შენი უფლება 18 წლამდე

არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში ჩატარდა 17 შეხვედრა, რა დროსაც სკოლის მოსწავლეებს მიენოდათ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ბავშვის უფლებები;
- ბულინგი;
- დისკრიმინაცია;
- ტოლერანტობა;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- გენდერული თანასწორობა;
- შრომითი უფლებები;
- განრიდება და მედიაცია.

შეხვედრები ჩატარდა:

- თბილისის „ევროპულ სკოლაში“; – დაესწიო 43 ბავშვი
- თბილისის 169-ე საჯარო სკოლაში; – დაესწიო 38 ბავშვი
- სოფლების - ქაქუთის და ალამბარის საჯარო სკოლებში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი); – დაესწიო 62 ბავშვი
- ილია ჭავჭავაძის სახელობის ფოთის #N5 საჯარო სკოლაში; – დაესწიო 35 ბავშვი
- გიორგი ჭყონდიდლის სახელობის ფოთის#7 საჯარო სკოლაში; – დაესწიო 32 ბავშვი
- სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლაში (მესტიის მუნიციპალიტეტი); – დაესწიო 47 ბავშვი
- მესტიის მე-2 და მე-5 საჯარო სკოლების მოსწავლეებთან; – დაესწიო 38 ბავშვი
- შუახევის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან; – დაესწიო 30 ბავშვი
- ონის საჯარო სკოლაში; – დაესწიო 23 ბავშვი
- ხაშურის საოჯახო სახლში; – დაესწიო 12 ბავშვი
- ბათუმის მე-15 და მე-2 საჯარო სკოლებში; – დაესწიო 60 ბავშვი
- სოფელ ქვიტირის სკოლის მოსწავლეებთან; – დაესწიო 25 ბავშვი

- ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის მოსწავლე-მკითხველებთან;
– დაესწო 22 ბავშვი
- ხელვაჩაურის ახალგაზრდული ცენტრის მოსწავლეებთან;
– დაესწო 18 ბავშვი

27 თებერვალს, “ბავშვის უფლებათა კვირეულის“ ფარგლებში, ევროპულ სკოლაში, გაიმართა შეხვედრა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით. შეხვედრა გახსნა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა დავით სიმონიამ, მან სკოლის მოსწავლეებს მიანოდა ინფორმაცია სამსახურის სერვისებისა და პროექტების შესახებ. შეხვედრის მეორე ეტაპზე სამსახურის იურისტ-ანალიტიკოსმა ისაუბრა ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაზე, ასევე მიმოიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ბულინგი, ინკლუზიური განათლება, ტოლერანტობა, გენდერული თანასწორობა და სხვა. შეხვედრის ბოლოს სამსახურის ფსიქოლოგებმა პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენებით ბავშვებს მისცეს შესაძლებლობა ჩართულიყვნენ დისკუსიაში.

10 აპრილს შეხვედრა გაიმართა თბილისის N 169-ე სკოლის მოსწავლეებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ბავშვებს მიწოდა ინფორმაცია ტრეფიკინგზე და სამართლებრივ კულტურაზე. სამსახურის ფსიქოლოგებმა ისაუბრეს ზემოაღნიშნულ საკითხებზე ფსიქოლოგიურ ქრილში. ასევე გამოიყენეს ინტერაქციული მეთოდი და ბავშვებთან ერთად განიხილეს რამდენიმე სამართლებრივი ქეისი. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ საკითხების განხილვაში და გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები.



2 მაისს ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი და კონსულტანტი შეხვდნენ ქ. ფოთის გიორგი შყონდიდელის სახელობის #7 საჯარო სკოლის მოსწავლეებს და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს. შეხვედრა განხორციელდა აღნიშნული სკოლის ადმინისტრაციიდან მომართვის საფუძველზე, რომლის მიზანი იყო „ადამიანის უფლებების შესახებ“ გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა. ფოთის ბიუროს ადვოკატმა წარდგინა სლაიდ პროგრამა “ადამიანის უფლებები”, სადაც მოკლედ მიმოიხილა საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის გარანტირებული უფლებები, საკანონმდებლო იერარქია, ბავშვის უფლებათა კონვენციით და ბავშვის უფლებათა კოდექსით მოწესრიგებული სამართლებრივი საკითხები. კონსულტანტმა კრიტერიუმებზე, და სამსახურის სერვისებზე. მოსწავლეებმა დასვეს საინტერესო კითხვები და იურისტებისაგან ამომწურავი პასუხები მიიღეს.

1 ივნისს, ხაშურში გაიმართა შეხვედრა საოჯახო ტიპის სახლებში მყოფ ბავშვებთან. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ ქეთევან მურადაშვილმა მათ წარუდგინა იურიდიული დახმარების სამსახურის საბავშვო ვებგვერდი www.children.las.ge. ვებგვერდზე წარმოდგენილია მოზარდებისათვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, როგორც იურიდიულ თემებზე, ასევე, ფსიქოლოგიურ, სოციალურ საკითხებზე. ვებგვერდზე განთავსებულია ფორუმი, სადაც მოსწავლეები და მშობლები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს განი-

ხილავენ. გარდა ამისა, მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია მხატვრული ლიტერატურა და ფილმები. ვებგვერდი შვიდენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური) და ადაპტირებულია შებლდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (სმენადაქვეითებული, სუსტი და მხედველობის არმქონე). საბავშვო ვებგვერდი შემოქმედებითად ინოვაციურია. მას ჰყავს ერთგვარი მასპინძელი“, სახელად „ლილი“ - ეს არის ანიმაციური ფიგურა - „უფლებადამცველი/ადვოკატი“ ქალი, რომელიც ყველა ბავშვის მეგობარია და „ბავშვურ“ ენაზე განუმარტავს მოზარდებს, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ვებგვერდით.

2 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის ამბროლაურისა და ონის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი შეხვდა ონის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს. შეხვედრა გაიმართა რეჟა-ლენჩუმი-ქვემო სვანეთის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. კონსულტანტმა ბავშვებს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები და ესაუბრა იურისტის პროფესიის თავისებურებებზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შერჩეულია სამი მოსწავლე, რომლებიც სტაჟირებას გადიან ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრში და ეცნობიან ადვოკატის მუშაობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. თეა ჩიკვაიძე მოსწავლეებს ესაუბრა ბავშვთა უფლებებზე, ოჯახურ ძალადობასა და მის შედეგებზე, საკანონმდებლო რეგულაციებზე. ბავშვებმა დასვეს მათთვის საინტერესო შეკითხვები და ამომწურავი პასუხები მიიღეს.

10 ნოემბერს ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები შეხვდნენ ქ. ფოთის N15 საჯარო სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს. ბიუროს უფროსმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით და მიაწოდა მათ ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის შესახებ. ფოთის ბიუროს თანამშრომლებმა წარადგინეს პრეზენტაცია, კერძოდ „არასრულწლოვანი და მართლმსაჯულება“ და „ბავშვთა უფლებები/ბავშვის საუკეთესო ინტერესები“, სადაც მოკლედ მიმოხილულია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები, საკანონმდებლო იერარქია, ბავშვის უფლებათა კონვენციით და ბავშვის უფლებათა კოდექსით მოწესრიგებული სამართლებრივი საკითხები. განხილული საკითხებით დაინტერესებულმა მოსწავლეებმა დასვეს შეკითხვები მათთვის საინტერესო და ზოგადად საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთათვის პრობლემურ საკითხებზე. შეხვედრა წარიმართა დისკუსიის ფორმატში. უახლოეს მომავალში დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობის განხორციელება არასრულწლოვანთა ჩართულობით.



7 ნოემბერს, ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს სოფელ ქვიციანის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ესტუმრნენ. ბიუროს უფროსმა არასრულწლოვანებს იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის მიმართულებები გააცნო, ესაუბრა ბავშვთა უფლებებზე და იმ სერვისებზე, რომელსაც საზოგადოებრივი ადვოკატები ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით

ახორციელებენ. კონსულტანტი ქვიტირელ ბავშვებს ესაუბრა ბულინგის, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. მოსწავლეები დაინტერესდნენ სხვადასხვა სამართლებრივი საკითხით, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს.

8 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე ლევან გვენეტაძე და სამსახურის სხვა წარმომადგენლები თელავის #1 საჯარო სკოლის უფროსკლასელებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ. დირექტორის თანაშემწემ მოსწავლეებს წარუდგინა ვებგვერდი www.children.las.ge, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურმა სპეციალურად ბავშვებისათვის შექმნა, ესაუბრა მათ ბავშვთა უფლებებზე, ბულინგზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზე, გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით. შეხვედრის ბოლოს იურისტებმა უპასუხეს მოსწავლეებისა და მასწავლებლების შეკითხვებს.

11 დეკემბერს, ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის ბიუროს წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ შეხვედრაზე ზესტაფონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან. იურისტები, სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, მოსწავლეებს ესაუბრნენ მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე გენდერულ საკითხებზე, ძალადობისა და ბულინგის მავნებლობაზე და ა.შ. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიაში, სვამდნენ კითხვებს და იღებდნენ კვალიფიციურ პასუხებს. შეხვედრა მიმდგინა 10 დეკემბერს - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

19 დეკემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იმიტირებული სასამართლო პროცესი, სადაც პროცესის მონაწილე პირების ადვოკატების, პროკურორების მოწმეების, ნაფიცი მსაჯულების როლები მოირგეს სსიპ ქალაქ ფოთის #15 საჯარო სკოლის-ის მე-9-10-11 კლასის მოსწავლეებმა. ღონისძიება მომზადდა ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს, ფოთის #15 საჯარო სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით, ასევე ფოთის საქალაქო სასამართლოს ხელშეწყობით. იმიტირებული სასამართლო პროცესი გამოირჩეოდა მონაწილეთა აქტიურობითა და დიდი ინტერესით. იმიტირებულ სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგები, დაინტერესებული საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები.



3. პროექტი „პარალელგალი“

3.1 პროექტის მიზანი

2022 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით, მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, დაიწყო პროექტი „პარალელგალი“, რომელიც 2023 წელსაც აქტიურად გრძელდება.

პროექტი მიზნად ისახავს გადამზადების პროგრამის შემდეგ პარალელგალებმა მიღებული ცოდნიდან გამომდინარე მოსახლეობას გაუწიონ პირველადი კონსულტაცია სამართლებრივ საკითგებზე. პარალელგალის როლს განსაკუთრებით ზრდის ის, რომ კონსულტაციის განწვევის გარდა, მათი დანიშნულებაა დაეხმარონ სამსახურის ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში. აღნიშნული მეთოდი მნიშვნელოვნად აადვილებს და ეფექტურს ხდის იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმისაწვდომობის გაზრდას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ვინაიდან პარალელგალები, არიან არაიურისტი პირები ან სამართლის სტუდენტები, პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მონაწილეობის მისაღებად არ არის საჭირო კონკრეტული პროფესიის ან საქმიანობის ქონა, მთავარია სურვილი და მოტივაცია, სამსახურის მიერ დაგეგმილი პროგრამის საფუძვლიანად გავლა და მოსახლეობასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

პროექტის ფარგლებში, სამსახურმა იმერეთსა და აჭარის რეგიონში შექმნა პარალელგალების ქსელი, რომელიც აერთიანებს 70 ადამიანს.

პროექტის ფარგლებში აჭარის მასშტაბით 4-მა წარმატებულმა სტუდენტმა პარალელგალმა სტაჟირება გაიარა ბათუმის ბიუროში სისხლის და სამოქალაქო სამსართლის მიმართულებით.

USAID-სა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის არსებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმიდან გამომდინარე, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 2023 წლის მანძილზე სულ განხორციელდა 47 აქტივობა. 20 საინფორმაციო შეხვედრა, 5 იმიტირებული სასამართლო პროცესი, 5 პანელური დისკუსია, მემორანდუმი გაფორმება 1 „კარიერული საუბრები“; 12 ტრენინგი პარალელგალი სტუდენტებისთვის და 4 შეხვედრა.

პარალელგალთა გადამზადება

2023 წლის 10-12 თებერვალს, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში, პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი შემდეგ თემებზე: ეფექტური კომუნიკაციის სტანდარტები და ადამიანის უფლებები პირველ ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი/ტრენერი ვლადიმერ მკერვალიშვილი. ხოლო, ადამიანის უფლებებზე ისაუბრა მონვეულმა ექსპერტმა - გიორგი ბურჯანაძემ.

2023 წლის 13 თებერვალს, გაიმართა კარიერული საუბრები სადაც, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილესთან, გიორგი ბურჯანაძესთან შეხვედრის შესაძლებლობა, ჰქონდათ პარალელგალებს. მან სტუდენტებთან ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ ისაუბრა.

2023 წლის 27-28 ოქტომბერს, ბათუმსა და ქუთაისში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში, პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი სახელწოდებით - “ქალთა უფლებები”. ტრენინგებს უძღვებოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები დიანა ბერეკაშვილი, თამარ ონიანი და თამარ ალანია.

2023 წლის 3-4 ნოემბერს, ქუთაისსა და ბათუმში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი, სახელწოდებით - “ბავშვის საუკეთესო ინტერესები”. ტრენინგს უძღვებოდა მოსამართლე - ქეთევან მესხიშვილი.

2023 წლის 11 - 12 ნოემბერს, ქუთაისსა და ბათუმში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში, პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი, სახელწოდებით - “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები”. ტრენინგს უძღვებოდა დარგის ექსპერტი - ნინო ელბაქიძე.

2023 წლის, 1-2 დეკემბერს, ქუთაისსა და ბათუმში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში, პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი თემაზე - „ადამიანით ვაჭრობა, ტრეფიკინგი“. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარი მესხი, სამართლის დოქტორი, პროფესორი.

2023 წლის 9-10 დეკემბერს, ქუთაისსა და ბათუმში პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში, პარალელგალებისთვის გაიმართა 2 ტრენინგი თემაზე - ადამიანის უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - გიორგი ბურჯანაძე.

3.2. გასვლითი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები პარალელგალების ჩართულობით

მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, საქართველოს მაშტაბით შეხვედრები, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე სკოლის მოსწავლეებთან USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრაზე ადგილობრივებმა მიიღეს ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ. ხოლო პარალელგალებმა მოსახლეობასთან ისაუბრეს ქალთა უფლებების, ნაადრევი ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და მისგან თავდაცვის მექანიზმებზე.

საჯარო სკოლებში გამართული შეხვედრების ფარგლებში, პარალელგალებმა სკოლის მოსწავლეებს გააცნეს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: ბავშვის უფლებები, ბულინგის სახეები, ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობა და სამსახურის მიმდინარე პროექტები.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე ადამსწრე საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ, ქალთა უფლებები, ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი, შშმ პირთა უფლებები.

2023 წლის 16 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქობულეთის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 25 ადამიანი.

2023 წლის 16 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქობულეთის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 42 ადამიანი.


2023 წლის 16 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქობულეთის სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 27 ადამიანი.

2023 წლის 17 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 30 ადამიანი.

2023 წლის 17 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 35 ადამიანი.

2023 წლის 17 მარტს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 43 ადამიანი.

2023 წლის 13 ივნისს USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით პარალელგალებთან ერთად გაიმართა შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ 37 ადამიანი დაესწრო.



2023 წლის 15 ივნისს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქ. ქობულეთის მერიაში სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 40 ადამიანი.

2023 წლის 17 ივლისს პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ 32 ადამიანი დაესწრო.



2023 წლის 17 ივლისს პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ 25 ადამიანი დაესწრო.

2023 წლის 17 ივლისს პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ 18 ადამიანი დაესწრო.



2023 წლის 18 ივლისს პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ 27 ადამიანი დაესწრო.

2023 წლის 27 სექტემბერს, პარალელგალებთან ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 35 ადამიანი.

2023 წლის 28 სექტემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ დაესწრო 27 ადამიანი.

2023 წლის 28 სექტემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 31 ადამიანი.

2023 წლის 31 ოქტომბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრას სულ დაესწრო 35 ადამიანი.



2023 წლის 1 ნოემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 32 ადამიანი.

2023 წლის 4 დეკემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 38 ადამიანი.

2023 წლის 4 დეკემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, განთიადის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 24 ადამიანი.

2023 წლის 5 დეკემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 34 ადამიანი.


2023 წლის 5 დეკემბერს, პარალელურად ერთად USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრას სულ დაესწრო 41 ადამიანი.

3.3. იმიტირებული პროცესები პარალელალების მონაწილეობით

პროექტ პარალელალების ფარგლებში აქტიურად იმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები. პროცესზე მხარეებს წარმოადგენდნენ სტუდენტი პარალელალები, ხოლო ნაფიცი მსაჯულები შესაბამისი მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები გახლავთ.

იმიტირებული პროცესის დაწყებამდე მოსწავლეები ეცნობიან დეტალურ ინფორმაციას ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. იმიტირებული პროცესის საქმის მასალები იმგვარად შედგენილი, რომ ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობა აქვთ იმსჯელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე აქტუალურ საკითხებზე და შემდგომ გაეცნონ კვალიფიციურ სამართლებრივ შეფასებებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომლისაგან და რომლის ვალდებულებაც გახლდათ იმიტირებული პროცესის საქმის მასალების შედგენა.



2023 წლის 13 ივნისს პროექტ „პარალელალების“ ფარგლებში, USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ქედის მაგისტრატ სასამართლოში პროცესში, ნაფიცმსაჯულებს სკოლის მოსწავლეები, ხოლო მხარეებს სტუდენტი პარალელალები წარმოადგენდნენ. იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჯამში 21 სკოლის მოსწავლე ჩაერთო.

2023 წლის 18 ივლისს პროექტ „პარალელალების“ ფარგლებში, USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში პროცესში, ნაფიცმსაჯულებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, ხოლო მხარეებს სტუდენტი პარალელალები წარმოადგენდნენ. იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჯამში 24 ადამიანი დაესწრო.

2023 წლის 27 სექტემბერს, პროექტ „პარალელალების“ ფარგლებში, USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი შუახევის მაგისტრატ სასამართლოში. პროცესში, ნაფიცმსაჯულებს შუახევის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, ხოლო მხარეებს სტუდენტი პარალელალები წარმოადგენდნენ. იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჯამში 27 ადამიანი დაესწრო.

2023 წლის 31 ოქტომბერს, პროექტ „პარალელალების“ ფარგლებში, USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი მესტიის მაგისტრ სასამართლოში. პროცესში, ნაფიცმსაჯულებს მესტიის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, ხოლო მხარეებს სტუდენტი პარალელალები წარმოადგენდნენ. იმიტირებულ

სასამართლო პროცესში ჯამში 35 ადამიანი დაესწრო.

2023 წლის 3 დეკემბერს, პროექტ „პარალელგალის“ ფაგრლებში, USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ბათუმის საქალაქო სასამართლოში. პროცესში, ნაფიცმსაჯულებს ქალაქ ბათუმში არსებული სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, ხოლო მხარეებს სტუდენტი პარალელგალები წარმოადგენდნენ. იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჯამში 40 ადამიანი დაესწრო.

3.4. პროექტ პარალელგალის ფარგლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

2023 წლის 24 მარტს, იურიდიული დახმარების სამსახურის და USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: „ქალთა უფლებების დაცვა - ადმინისტრაციული ღონისძიებები და სოციალური გარანტია“.

შეხვედრის მონაწილეებმა დისკუსიის პირველ ნაწილში იმსჯელეს ქალთა უფლებებზე, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმებზე, დამცავი ორდერის გამოყენების საკითხებზე და მიმოიხილეს არსებული სასამართლო პრაქტიკა. ხოლო მეორე ნაწილში განიხილეს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხები შეხვედრას ესწრებოდა 45 ადამიანი.



2023 წლის 7 ივნისს USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით გაიმართა პანელური დისკუსია სახელწოდებით ბვაშვის მონაწილეობით სასამართლო საქმეების განხილვისას სამართალწარმოების თავისებურებები”


შეხვედრა გახსნა USAID „სამართლის უზენაესობის“ საკითებში რეგიონალურმა მრჩეველმა ირინა ლორთქიფანიძემ. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას არსებული პრაქტიკა გააცნო ქუთაისის იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები და არასამათვარობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდა 33 ადამიანი.

2023 წლის 12 ივნისს იურიდიული დახმარების სამსახურსა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამას შორის, ურთიერთნამაშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. USAID-სა და იურიდიული დახმარების თანამშრომლობიდან გამომდინარე, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

2023 წლის 14 ივნისს USAID „სამართლის უზენაესობის პროგრამის“ მხარდაჭერით ქალაქ ბათუმში გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის უფლებების დაცვა საქართველოში“;

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე - ჯემალ სურმანიძე, იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს უფროსი ბათუმი საქალაქო სასამართლოს მოსამართლე-ირმა ტოგონიძე, ბათუმის მერიის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - რუსუდან სალუქვაძე. საქართველოს ახალგზარდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - თამარ წულუკიძე. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას არსებული პრაქტიკა გააცნეს.

პანელურ დისკუსიას ასევე ესწრებოდნენ არასამათავრობო ორგანიზაციისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდა 29 ადამიანი.



2023 წლის 15-16 ივლისს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია სახელწოდებით - “ბავშვის ოჯახიდან განცალკევებისა და მისი საუკეთესო ინტერესის შესახებ”. შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები გახლდათ: ბავშვთა განცალკევების ზოგადი კონცეფცია, დაბადების ოჯახში რეინტეგრაციის გეგმა, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, საჭიროებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონისა და ქუთაისის ბიუროს წარმომადგენლები, მოსამართლეები, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები. ასევე, დისკუსიას ესწრებოდა ამერიკელი მოსამართლე, პეგი უოლკერი, რომელიც 30 წლის განმავლობაში გახლდათ ჯორჯიის შტატის დუგლასის ოლქის არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლე. შეხვედრას ესწრებოდა 30 ადამიანი.

2023 წლის 29 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა სახელწოდებით - „კარიერა იურიდიულ პროფესიაში“.

ღონისძიება გახსნა USAID/კავკასიის დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის კანონის უზენაესობის პროექტის მენეჯერმა - რუსუდან ტაბატაძემ. ასევე, შეხვედრას ესწრებოდნენ და მონაწილეებს სიტყვით მიმართეს - დავით სიმონიამ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა; გიორგი ჩხეიძემ - USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს უფროსმა და ხათუნა ბოლქვაძემ - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბათუმში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. შეხვედრის დასასრულს პროექტ „პარალელგალის“ მონაწილეებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და გააცნეს დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ. შეხვედრას დაესწრო 110 ადამიანი.



2023 წლის 19 ოქტომბერს, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეხვედრის მიმდინარეობისას იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა - დავით სიმონიამ, სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პარალელგალთა შესარჩევი კონკურსთან დაკავშირებით. დამსწრე საზოგადოებას წარედგინა ინფორმაციული დეველოპერული ჰაბის, იურიდიული დახმარების სამსახურისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანია ქუთაისის ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდა ადამიანის უფლებების შესახებ ქართული სამართლებრივი სისტემის ქრილში. შეხვედრას დაესწრო 60 ადამიანი.

2023 წლის 20 ოქტომბერს, პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ქ. ბათუმში გაიმართა შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრის მიმდინარეობისას იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროს უფროსმა სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პარალელგალთა შესარჩევი კონკურსთან დაკავშირებით. შეხვედრას დაესწრო 51 ადამიანი.

2023 წლის 30 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, იურიდიული დახმარების სამსახურისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია სახელწოდებით - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე“. შეხ-

ვედრა გახსნეს და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა - დავით სიმონიამ და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ - ჰერბ ბოუმენმა. შეხვედრის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას არსებული პრაქტიკა გააცნეს: იურიდიული დახმარების სამსახურის ზეტაფონის და ქუთაისის ბიუროს უფროსებმა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელმა - დარინე სალდაძემ და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ექსპერტმა - ნინო ელბაქიძემ. პანელურ დისკუსიას ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პრაქტიკოსი ადვოკატები. დისკუსია წარიმართა მონაწილეთა აქტიური ჩართულობით. შეხვედრას ესწრებოდა 37 ადამიანი.

2023 წლის 21 დეკემბერს, ახალციხეში, გაიმართა შეხვედრა სახელწოდებით - „ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე“. შეხვედრა გახსნა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა - გიორგი ჩხეიძემ. ურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ - ლევან გვენეტაძემ, მონაწილეებს გააცნო სამსახურის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე, სასწავლო ცენტრის უფროსმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პროექტ „პარალელგალის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, რომელიც ერთ წელზე მეტია წარმატებით მიმდინარეობს ბათუმსა და ქუთაისში, ხოლო მომდევნო წლიდან აღნიშნული პროექტი ახალციხეშიც განხორციელდება.

შეხვედრის მიმდინარეობისას USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველმა - თიმ ბუნიავეცმა, წარადგინა მოხსენება თემაზე - „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების დანერგვის გზით“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ იღებდნენ ადგილობრივი იურიდიული დახმარების სამსახურის, სასამართლო სისტემის, ადვოკატთა კორპუსისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის ბოლოს წარიმართა დისკუსია, რომელსაც მოდერირებას უწევდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მრჩეველი სამართლის უზენაესობის საკითხებში - ირინა ლორთქიფანიძე. შეხვედრას ესწრებოდა 24 ადამიანი.



VI

პროექტები

1. იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესება თავშესაფრის მაძიებლებისათვის საქართველოში

2023 წლის 23 იანვარს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისსა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის გაფორმდა პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესებას თავშესაფრის მაძიებლებისათვის საქართველოში.

შეთანხმება სამსახურსა და UNHCR-ს შორის ითვალისწინებდა შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

იურიდიული დახმარების სამსახურმა UNHCR-ის მხარდაჭერით, ჩამოაყალიბა ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფი. აღნიშნული რეფორმით საფუძველი ჩაეყარა სამსახურში ვინრო სპეციალიზაციის დანერგვას.

პროექტის ფარგლებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ დაფინანსდა პროექტის კოორდინატორისა და მენტორი-ადვოკატის ერთი წლის სახელფასო ფონდი, ხოლო სამსახურმა უზრუნველყო დამატებით სამი სპეციალიზებული ადვოკატის დასაქმება, რის შედეგად, სამსახურს ჰყავს 4 სპეციალიზებული ადვოკატისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც იურიდიულ დახმარებას ახორციელებს მხოლოდ თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე.

2023 წლის 2 ნოემბერს და 15 დეკემბერს, ექსპერტის ჩართულობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სპეციალიზებულ ადვოკატებთან. პირველ შეხვედრას ჰქონდა პროგრამის გაცნობითი ხასიათი, ხოლო მეორე შეხვედრაზე განხილულ იქნა რეკომენდაციები ადვოკატების მხრიდან და პროგრამის სამომავლო პერსპექტივები.

2023 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა თარჯიმანთა რეესტრის რეფორმა. სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში ორი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ენა. გამოცხადდა თარჯიმნების პოზიციაზე მიღება, ხოლო დონორი ორგანიზაციის აქტიური ჩართულობით შეირჩენენ სპარსული და არაბული ენის თარჯიმნები, რომლებიც ჩაირიცხნენ სამსახურის თარჯიმანთა რეესტრში.

სამსახურის რეესტრში ჩარიცხული თარჯიმნები სპეციალიზებულ ადვოკატებთან ერთად მუშაობენ მხოლოდ თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე.

პროექტით იყო გათვალისწინებული მეოთხე აქტივობა გახლდათ მობილური აპლიკაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა თავშესაფრის მაძიებლებისათვის. მობილური საკონსულტაციო აპლიკაცია ითარგმნა ინგლისურ ენაზე, ასევე მოპოვებული იქნა ლიცენზიები IOS- ისა და ANDROID - ის მხრიდან. შედეგად, აპლიკაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ორივე სისტემის მქონე მონაცემების მქონე მოწყობილობებში.

1.2. ტრენინგები, შეხვედრები

2023 წლის 23 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ერთობლივი პროექტის კოორდინატორმა მარიამ კვიციანი მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში „The Strategic Moment of Reflection - Briefing and Discussion with Partners“. შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კემლინ ფურლი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს, სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლები;

2023 წლის 21 ივნისს, სამსახურის დირექტორმა, დავით სიმონიამ და პროექტის კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღეს ლტოლვილთა ფორუმში, რომელიც UNHCR Georgia - სა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ფორუმზე სამსახურის დირექტორმა ისაუბრა ლტოლვილთა უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით სამსახურის მიერ განხორციელებულ პროგრესზე;

2023 წლის 18 სექტემბერს, სამსახურის დირექტორი საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ხელმძღვანელს, კემლინ ფურლის შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგებისა და მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმების განხილვა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე მიხეილ ხურციძე, სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის კოორდინატორი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის უფროსი სამართლებრივი მრჩეველი თორნიკე ცაგარეიშვილი;

2023 წლის 23-25 ოქტომბერს, ქალაქ თელავში სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი ლტოლვილთა სამართალში. ტრენინგს უძღვებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლები თორნიკე ცაგარეიშვილი და სალომე ქუსიკაშვილი;

პროექტით გათვალისწინებული მეორე აქტივობას წარმოადგენდა ხელოვნური ინტელექტის პროგრამა „LOGOS“ ში ლტოლვილთა სამართლის საკითხების ჩაშენება. UNHCR-ის მხრიდან დაფინანსდა ექსპერტის მომსახურება, რომლის დახმარებით ხელოვნური ინტელექტის პროგრამაში ჩაშენდა შესაბამისი საკითხები. შედეგად, ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებული ადვოკატები პროგრამის მეშვეობით რამდენიმე წუთში ამზადებენ დასაბუთებულ სარჩელებს, რომლებშიც მითითებულია როგორც საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები, ასევე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმოშობის ქვეყნების შესახებ დეტალური და უახლესი ინფორმაცია.

იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულმა ადვოკატებმა გაიარეს ტრენინგები <https://unhcr.csod.com/> პლატფორმის მეშვეობით. პროგრამა მოიცავდა, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ტრენინგებს, რომელთა დასრულებისა და ტესტის წარმატებით ჩაბარების შემდგომ, ადვოკატებს გადაეცათ სერტიფიკატები;

სავალდებულო ტრენინგების ჩამონათვალი:

1. ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა (RSD);
2. ლტოლვილთა დაცვის ინდუქციური პროგრამა;
3. RSD ინტერვიუს საფუძვლები;
4. ჩართული პირების ანგარიშვალდებულება დაზარალებული ადამიანების წინაშე (AAP);
5. ასაკის, სქესი და მრავალფეროვნება;
6. ბავშვის საუკეთესო ინტერესი – ძირითადი პრინციპები და პროცედურები;
7. კომუნიკაცია, გასაუბრება და კონსულტაცია;
8. ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო რეჟიმი;
9. სექსუალური და გენდერული ძალადობა (SGBV);
10. მოქალაქეობის არმქონე პირები;

2023 წლის 16 დეკემბერს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია „ტენდენციები და გამოწვევები თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში“.

დისკუსიაზე მიწვეული იყვნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და პროექტის კოორდინატორი. შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, ასევე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები;

სამსახურის დირექტორმა, დავით სიმონიამ მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე პირებს, ხოლო პროექტის კოორდინატორმა მარიამ კვიციანი წარადგინა პრეზენტაცია იურიდიული დახმარების სამსახურის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში არსებულ გამოწვევებისა და ტენდენციების შესახებ;

2023 წლის 21 ნოემბერს, ლტოლვილთა სამართალში სპეციალიზებულ ადვოკატთა ჯგუფი და პროექტის კოორდინატორი შეხვედნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის უფროს სამართლებრივ მრჩეველს, თორნიკე ცაგარეიშვილს და არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს დღეს არსებული გამოწვევები თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში;

2023 წლის 28 ნოემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურმა ოფიციალურად წარადგინა ფიცი ლტოლვილთა რიგით მეორე საერთაშორისო ფორუმზე. სამსახურმა აიღო ვალდებულება, რომ მომდევნო 4 წლის მანძილზე უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლებისათვის განუვლი იურიდიული დახმარების უმაღლეს ხარისხს, ვინაშინ სპეციალიზაციის დანერგვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

2. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის (პორტალი).

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის (პორტალი) განახლება და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო იურიდიული დახმარების მიმწოდებლებს შორის უკეთესი კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით. იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელი საქართველოში მოქმედ უფასო იურიდიული დახმარების მიმწოდებელ ორგანიზაციათა გაერთიანებაა, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც შესაბამისი უწყებები და საბიუჯეტო ორგანიზაციები, ისე არასამთავრობო სექტორისა და საუნივერსიტეტო კლინიკების წარმომადგენლები.

მოცემულ ნაწილში, შემუშავდა და დამტკიცდა ახალი დებულება, ასევე ქსელში განვიხილავთ ახალი ორგანიზაციები. ქსელის ახალ წევრებად დარეგისტრირდა ექვსი არასამთავრობო ორგანიზაცია და ხუთი საუნივერსიტეტო სამართლის კლინიკა. საერთო ჯამში იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა რიცხვი 21-მდე გაიზარდა. პროექტი გააუმჯობესებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის რეგიონებში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, შშმ პირებისა და ქალებისთვის.

იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ქსელის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე - „პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები“, „შშმ პირთა უფლებები“ და „გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“.



VII

იურიდიული დახმარების
სამსახურის ფსიქოლოგები

2023 წელს ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ უზრუნველყოფილ იქნა ადვოკატთა მოთხოვნის და სასამართლო განჩინებების საფუძველზე ფსიქოლოგიური კვლევების/კონსულტაციების განხორციელება და შესაბამისი დასკვნების მომზადება. ასევე, მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა არასრულწლოვნებთან სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით (ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით).

2023 წელს სასამართლო განჩინების თანახმად და ადვოკატის მომართვის საფუძველზე, ფსიქოლოგები ჩაერთვნენ 5 სამოქალაქო და 3 სისხლის სამართლის საქმეში. ასევე, მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულ 6 შეხვედრაში.

წარმოგიდგენთ ფსიქოლოგების მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის, დასრულებულ და მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, ასევე, არასრულწლოვნების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები:

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 28 ივნისის განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ.
დავის საგანი: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.
2. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ.
დავის საგანი: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; ალიმენტის დაკისრება;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.
3. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 12 დეკემბრის განჩინება ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ.
დავის საგანი: მშობლის უფლების ჩამორთმევა;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, განჩინებაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.
4. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის 2022 წლის 14 ნოემბრის მომართვა
დავის საგანი: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ალიმენტის დაკისრება;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი და შესაბამისი დასკვნის მომზადება.
5. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის 2023 წლის 27 ივნისის მომართვა
დავის საგანი: არასრულწლოვან შვილიშვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.
6. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის 2023 წლის 7 აპრილის მომართვა
ბრალდება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით და 111 - 117 - ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და „კ“ პუნქტი;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი, შესაბამისი დასკვნის მომზადება.
7. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის 2023 წლის 12 ივნისის მომართვა
ბრალდება: 3531-1 ;
მომართვის მიზანი: ფსიქოლოგიური კვლევის განხორციელება, შესაბამისი დასკვნის მომზადება.

8. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის 2023 წლის 8 თებერვლის მომართვა.

ბრალდება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი;

მომართვის მიზანი: საქმის ერთ-ერთი არასრულწლოვანი მოწმის ფსიქოლოგიური კვლევა და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

9 2023 წლის 21 ნოემბერს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოწმე ექსპერტის სახით წარდგენა

დავის საგანი: მშობლის უფლების ჩამორთმევა;

აღნიშნულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ფსიქოლოგების მიერ განხორციელდა, ხოლო მიმდინარე საქმეებთან მიმართებაში ხორციელდება შემდეგი სახის აქტივობები:

- საქმის მასალების გაცნობა;
- საქმესთან დაკავშირებით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა;
- შეხვედრები, კონსულტაციები, გასაუბრებები და ინტერვიუების წარმოება ბენეფიციარებთან, ბენეფიციარების ოჯახის წევრებთან და საქმესთან კავშირში მყოფ სხვა პირებთან;
- ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტიკა ქცევაზე დაკვირვების, ტესტების, კითხვარების, ინტერვიუების და პროექციული მეთოდების მეშვეობით;
- მომართვის მოთხოვნის შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, მომართვაში დასმულ კითხვებზე პასუხი, დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება.
- სასამართლო პროცესებში მონაწილეობა

შეხვედრები არასრულწლოვნებთან

2023 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის პირველ აგვისტომდე ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების სამმართველოს ფსიქოლოგ-კონსულტანტებმა მონაწილეობა მიიღეს არასრულწლოვნების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართულ 6 შეხვედრაში.

1. 2023 წლის 27 თებერვალს, „ბავშვის უფლებათა“ კვირეულის ფარგლებში, ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ განხორციელდა შეხვედრა ევროპულ სკოლაში;
2. 2023 წლის პირველ მარტს, „ბავშვის უფლებათა“ კვირეულის ფარგლებში, ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ, განხორციელდა შეხვედრა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლაში;
3. 2023 წლის 2 მარტს, „ბავშვის უფლებათა“ კვირეულის ფარგლებში, ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ, განხორციელდა შეხვედრა მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლაში;
4. 2023 წლის 23 მარტს, „ბავშვის უფლებათა“ კვირეულის ფარგლებში, ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ, განხორციელდა შეხვედრა მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლაში;
5. 2023 წლის 10 აპრილს, მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ - ს ფარგლებში ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ, განხორციელდა შეხვედრა ქ. თბილისის N169 საჯარო სკოლაში;
6. 2023 წლის პირველ ივნისს, ფსიქოლოგ-კონსულტანტების მიერ, საოჯახო ტიპის სახლში განხორციელდა შეხვედრა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან.

არასრულწლოვნებთან შეხვედრების თემატიკა მოიცავდა დღეისათვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა ბავშვის უფლებები, კონფლიქტები, სიძულვილის ენა, სასკოლო ბულინგი, ტრეფიკინგი და სხვა.

საზოგადოებრივი ელმოქმედი #4 / 2023



VIII

ჟურნალი „საზოგადოებრივი ადვოკატი“

2023 წელს, დაიბეჭდა ჟურნალ „საზოგადოებრივი ადვოკატი“ მეოთხე ნომერი, შემდეგი სარედაქციო კოლეგიით: სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი **დავით სიმონია**, რედაქტორი **ბიძინა მაცაშვილი**, რედაქტორის მოადგილე **ნინო ჩუტკერაშვილი**, კომპიუტერული უზრუნველყოფა: **გოგა დავითიანი**.

ჟურნალი მოიცავს შემდეგი სახის პუბლიკაციებს:

- რედაქტორის სვეტი - ავტორი დავით სიმონია, - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი;
- 4 წლის შემდეგ - ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;
- სამსახურის აწმყო და მომავალი - ინტერვიუ დავით სიმონიასთან, ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
- სპეციალიზებულ საქმეთა ბიურო - ავტორი ზაზა ჭლარკავა;
- ადვოკატის დამოუკიდებლობა და საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხის შეფასების უფლებამოსილება და ფარგლები - ნინო მელაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლები ევროსაბჭოს გადაწყვეტილებათა ქრილში - ავტორი სალომე დუდუჩავა, იურიდიული დახმარების საბჭოს მდივანი/დირექტორის თანაშემწე;
- ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების გამოწვევები ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით - ავტორი რეზი არსენიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი;
- კიბერუსაფრთხოება - ავტორები რევაზ ლალიძე, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო დეპარტამენტის იურისტი;
- ინტერნეტთაღლითობა - ავტორი ნანო ვაჭარაძე, იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური და საერთაშორისო დეპარტამენტის იურისტ-ანალიტიკოსი;
- სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების საქმეებზე - თამრიკო ნაჭყებია, იურიდიული დახმარების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი;
- ჩვენი მენტალური ჯანმრთელობა - ავტორი ნინი აშვეთია, იურიდიული დახმარების სამსახურის ფსიქოლოგ კონსულტანტი;
- დოკუმენტის ბედი - ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;
- ნომერი პირველი დამნაშავე - ავტორი ზაზა ჭლარკავა, ჟურნალისტი;
- ბრიუსელის დღიური - ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

გარდა ამისა, ჟურნალში ტრადიციულად წარმოდგენილია ბენეფიციართა მადლობის წერილები რუბრიკით „წერილიც და სიხარულიც“, და სამსახურის ოფისების საკონტაქტო ინფორმაცია.

IX

სამსახურის მიერ განეული
მომსახურების ხარისხის
უზრუნველყოფის მექანიზმები

იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N 107 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების თანახმად, 2023 წელს შეფასდა:

სისხლის სამართლის
მიმართულებით

98 ადვოკატის
188 დასრულებული საქმე ასევე

სამოქალაქო და
ადმინისტრაციული
სამართლის მიმართულებით

32 ადვოკატის
72 დასრულებული საქმე;

იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N 107 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2023 წელს იურიდიული დახმარების სამსახურში შერჩეულ იყვნენ შემდეგი მენტორები:

- 1. გელა სიორდია** - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი საქმეები, ასევე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეები;
- 2. სულახან კომახიძე** - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი საქმეები, ასევე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეები;
- 3. გელა ბერაძე** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დავები სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეები;
- 4. გიორგი მდინარაძე** - თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეები;
- 5. ლედი კორძაძე** - სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს განსჯადი სისხლის სამართლის საქმეები;
- 6. დარიკო თორდია** - აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეები;
- 7. ვალერი კვანტალიანი** - დასავლეთ საქართველოს მასშტაბით დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სისხლის სამართლის საქმეები;
- 8. თეონა კვერნაძე** - დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეები.



საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც ადვოკატებმა ისარგებლეს მენტორის მხარდაჭერით არის შემდეგი:

1. **გელა ბერაძე** - **1** საკონსულტაციო საკითხი;
2. **გელა სიორდია** - **20** სისხლის სამართლის საქმე;
3. **გიორგი მდინარაძე** - **254** სისხლის სამართლის საქმე;
4. **ვალერი კვანთალიანი** - **9** საქმე;
5. **თეონა კვიციანი** - **325** საქმე;
6. **ლუდი კორძაძე** - **60** საქმე;
7. **სულხან კომახიძე** - **19** საქმე;
8. **დარიკო თორდია** - **2** საქმე.

2023 წელს ორჯერ გაიმართა მენტორთა შეხვედრა. ორივე შეხვედრა განხორციელდა პლატფორმა zoom-ის მეშვეობით. შეხვედრები შედგა 2023 წლის 24 აპრილსა და 30 ივნისს. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე, საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის ექსპერტი ალან დაჰლი.

შეხვედრებზე მენტორებმა წარმოადგინეს ინფორმაცია იმ საქმეთა რაოდენობის, სირთულისა და ტექნიკური საკითხების შესახებ, რომლებზეც გასწიეს მენტორობა. მენტორების მიერ წარდგენილ იქნა ასევე შესაბამისი ანგარიშები.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ხარისხის შეფასების სისტემის დახვეწაზე მუშაობა დირექტორის პირველი მოადგილის ნინო მელაძისა და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროექტის მიერ დაქირავებულ საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (ILF) ექსპერტის ალან დალის მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მიდგომების გაცნობის შემდგომ შემუშავდა ცვლილებები შეფასების სისტემაში, რომელიც წარედგინა იურიდიული დახმარების საბჭოს.

იურიდიული დახმარების საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N120 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების ახალი წესი და კრიტერიუმები.

გადაწყვეტილებაში ცალკე გაიწერა „სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები“ – „ღირსების კოდექსი“, რომელიც შეიცავს დეტალურ რეგულაციებს ადვოკატის/კონსულტანტის მიერ საქმის/კონსულტაციის ეფექტურად წარმოებისათვის.

მომსახურების სტანდარტები უფუძნება საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (ILF) მიერ შემუშავებულ 10 სტანდარტს. კერძოდ:

- სტანდარტი 1.** დროული წარმომადგენლობა;
- სტანდარტი 2.** კლიენტზე ორიენტირებული ადვოკატირება;
- სტანდარტი 3.** ადვოკატირება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებისათვის;
- სტანდარტი 4.** საქმის დამოუკიდებელი გამოძიება;
- სტანდარტი 5.** საქმეზე სათანადო მომზადება;
- სტანდარტი 6.** საქმეში სათანადო ექსპერტების/სპეციალისტების ჩართვა;
- სტანდარტი 7.** წინასასამართლო (მოსამზადებელ) სხდომაზე წარმომადგენლობა;

სტანდარტი 8. სასამართლო პროცესზე კლიენტის დაცვა;

სტანდარტი 9. სასჯელის შემსუბუქება;

სტანდარტი 10. გასაჩივრება

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის (ILF) მიერ შემუშავებული 10 სტანდარტისაგან განსხვავებით, 2023 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამართლებრივი მომსახურების სტანდარტები შეიცავს უფრო ფართო და დეტალურ რეგულაციებს, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატის/კონსულტანტის აქტივობებს საქმის/კონსულტაციის გადაცემიდან მის დასრულებამდე.

სტანდარტებში ცალკე გაიწერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ასევე არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის წესები.

გარდა აღნიშნულისა, 2023 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა უფრო დახვეწილი მექანიზმი, რომელიც სამართლებრივი მომსახურების სტანდარტებში გაწერილი რეგულაციების შესაბამისად აფასებს ადვოკატების/კონსულტანტების დასრულებულ და მიმდინარე საქმეებს. ამისათვის შემუშავდა ადვოკატის/კონსულტანტის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხის შეფასების კითხვარები. დეტალურად გაიწერა ასევე კითხვარის შევსებისა და შესაბამისი დასკვნის თუ რეკომენდაციის გაცემის წესი.

საზგასანმელია, რომ შეფასების დოკუმენტი სრულად აღიარებს და იცავს ადვოკატის დამოუკიდებლობას და ადვოკატისა და კლიენტის მიერ შეთანხმებულ სტრატეგიაში არ ერევა და მას არ აფასებს. მიმდინარე საქმეების შეფასებაც ეფუძნება მხოლოდ ადვოკატის აქტივობების განხორციელება არ განხორციელების ზედამხედველობას და არა შინაარსობრივ მხარეს, რათა არ გაჩნდეს კითხვის ნიშნები ადვოკატის დამოუკიდებლობასთან მიმართებით;

2023 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ასევე განახლდა კლიენტთან კომუნიკაციის კითხვარები, კლიენტის კმაყოფილების კითხვარი და დამტკიცდა ადვოკატის/კონსულტანტის თვითშეფასების ასევე კლიენტისათვის მომსახურების პირობების განმარტების ფორმა. აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებსაც საქმის სხვა მასალებთან და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მონაცემებთან ერთად ეფუძნება შემფასებელი საქმეების შეფასებისას.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ შეფასების სისტემა მაქსიმალურად მიმართულია ადვოკატის/კონსულტანტის მხარდაჭერაზე, მის გაძლიერებაზე და ამისათვის გადაიხედა ასევე მენტორთა სახელმძღვანელო წესები და დამტკიცდა მენტორის საქმიანობის ანგარიშის ფორმა.

მენტორი არის სამართლის კონკრეტულ სფეროში კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, რომელიც ადვოკატს (რომელსაც განესაზღვრა მენტორი) უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, უწევს მხარდაჭერას საქმესთან დაკავშირებით სტრატეგიის მიმართულებების ან/და საქმისათვის საჭირო აქტივობების იდენტიფიცირებაში და საჭიროების ან/და წინამდებარე წესებით დადგენილ შემთხვევაში ერთვება საქმეში წარმომადგენლობის განხორციელებისათვის. მენტორის პროგრამის მიზანია ადვოკატის პროფესიული გაძლიერება, მისი ხელშეწყობა და მხარდაჭრა კლიენტისათვის კვალიფიციური და ეფექტური იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების მიწოდებასთვის. მენტორის პროგრამა ეფექტური ინსტრუმენტია ადვოკატის უნარებისა და ცოდნის განსავითარებლად და გასაძლიერებლად, რადგან ის ქმნის ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი გაცვლისა და სწავლის გარემოების საშუალებას. მენტორინგი ავითარებს ადვოკატების პრობლემების იდენტიფიცირების, ახალი გადაწყვეტილებების პოვნის ასევე ახალი ტექნიკისა და სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენების უნარებს; მენტორინგი ქმნის უფრო კომპეტენტურ, კვალიფიციურ, პროაქტიულ და თავდაჯერებულ ადვოკატს, რომელსაც უკეთ შეუძლიათ დაიცვას კლიენტის უფლებები;

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2023 წლის 10 ნოემბრის LA 4 23 0003942 ბრძანებით, განისაზღვრა კონსულტანტებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატების მიმართ წახალისების ზომის (ფულადი ჯილდოს) გამოყენებისთვის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2023 წლის 26 დეკემბრის LA 0 23 0004848 ბრძანებით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 40 თანამშრომელს, მათზე დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის მიეცათ ფულადი ჯილდო.

Case-Bank

2023 წელს საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით განხორციელდა სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (Case-Bank) განახლების გზით, რამაც მომსახურება ბევრად უფრო სწრაფი და ეფექტური გახადა. კერძოდ, მოხდა პროექტის მიზანია იურიდიული საქმისწარმოების საინფორმაციო სისტემა CASE BANK -ის ფუნქციონალური გაფართოება - მოდიფიკაცია სამსახურის გაზრდილი უფლებების შესაბამისი საქმიანობის ადმინისტრირების მიზნით და LAS-ის მიერ გაცემული ორდერების გადამოწმების საჯარო ვებ-პორტალის შემუშავება. ასევე, სისტემის გაუმჯობესება და მონაცემების ინტეგრაცია, სისტემაში სპეციალიზებული მონაცემების ველების (როგორებიცაა მაგალითად, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, გენდერი და ა.შ.) ინტეგრაცია, მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა და მიზნობრივი ინტერვენცია მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დასაცავად, განახლებული Case-Bank-ის დაწერვა/ტრენინგის ჩატარება.

ხელოვნური ინტელექტი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა (LAS) და ფრიდრიხ ებერტის ფონდს (Friedrich-Ebert-Stiftung) შრომის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიული დახმარების მომსახურების ხარისხის ამაღლდა შრომითი დისკრიმინაციის საქმეებში. ხელშეკრულება მოიცავდა 2 მიმართულებას:

- შრომითი უფლებების მოდულის შექმნასა და ინტეგრირებას უკვე არსებულ ხელოვნური ინტელექტის პროგრამაში, რომელსაც იყენებს სამსახური;
- TOT ტრენინგებს ადვოკატებისთვის.

პროექტის მიზანს, სამსახურის ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხის/სიჩქარის გაზრდა წარმოადგენდა. აღნიშნული მოდული/კურსი შეიქმნა, რათა ბენეფიციარებს მიაწოდოს აუცილებელი ცოდნა სამართლებრივი ჩარჩოების შესახებ, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში როგორიცაა: შრომითი დისკრიმინაცია; ჯანსაღი სამუშაო გარემოს უფლება; შრომითი ექსპლუატაციის აკრძალვა; სოციალურად დაუცველი თანამშრომლების უფლებები, სხვადასხვა სუბიექტის პასუხისმგებლობა და სხვა.

სამსახური იყენებს ხელოვნური ინტელექტის პროგრამულ უზრუნველყოფას სამართლის კონკრეტულ დარგებში, იურიდიული კონსულტაციისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შეიძლება მკვეთრად შემცირდეს ბენეფიციარებისათვის კვალიფიციური იურიდიული მომსახურების განვცის დრო. პროგრამული უზრუნველყოფა ეხმარება კონსულტანტებსა და საზოგადოებრივ ადვოკატებს, მოამზადონ მაღალი ხარისხის იურიდიული დოკუმენტები თავიანთი ბენეფიციარებისთვის გაცილებით მცირე დროში. სამსახური გეგმავს შექმნას და ჩართოს შრომის მოდული უკვე არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც კონსულტანტებსა და საზოგადოებრივ ადვოკატებს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციასა და სასამართლო პრაქტიკას. აღნიშნული პროცესის

განხორციელებაში ჩართული იქნება ექსპერტი, რომელიც ამავდროულად იურიდიული ინჟინერია.

საკითხთა ჩამონათვალი, სადაც გამოყენებული იქნა ხელოვნური ინტელექტი:

- შრომის რეგულირება და განვითარება ახალი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ;
- შრომის რეგულირების მიზანი და ფარგლები;
- უფლებები სამუშაოზე: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, ხელფასი;
- შრომის ინსპექტორი, სოციალური უზრუნველყოფა, ასოციაციისა და წარმომადგენლობის უფლებები;
- შრომის საერთაშორისო სტანდარტები და შრომის სხვა გლობალური რეგულირება;
- შრომითი ურთიერთობა და მისი, როგორც მარეგულირებელი მოწყობილობის როლი;
- შრომის რეგულირება და მოწყვლადი ჯგუფები შრომის ბაზარზე;
- მმართველობა: სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების როლები;
- სამუშაო ადგილის შესაბამისობისა და შრომითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ალიმენტი;
- უღირს მემკვიდრედ ცნობა;
- თავშესაფრის მაძიებლები;





X

განზრძობადი
განათლება



1. სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები

იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა 38 ტრენინგი. ტრენინგ-მოდულების შერჩევასა და ყურადღება გამახვილდა, ადვოკატთა გამოკითვის შედეგად ყველაზე აქტუალურ საკითებსა და დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ-პროგრამებზე.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის როგორც აპარატის თანამშრომლებმა, ისე ადვოკატებმა და კონსულტანტებმა, ჯამში ტრენინგებს დაესწრო 195 მონაწილე (გენდერული ბალანსი: 68,2% ქალი, 31,8% - კაცი).

- თემაზე - „IPSAS სტანდარტების ძირითად პრინციპებსა და IPSAS in a box პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 2 თანამშრომელი;
- თემაზე - „ეფექტური კომუნიკაცია“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 66 თანამშრომელი;
- თემაზე - „შესავალი მედიაციაში“, ჩატარდა 4 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 63 თანამშრომელი;
- თემაზე - „მენეჯერული უნარები“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი.
- თემაზე - „ტრენერის უნარ-ჩვევები“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 20 თანამშრომელი.
- თემაზე - „შრომითი უფლებები“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი.
- თემაზე - „მონშეთა დაკითხვა როგორც სამოქალაქო, ასევე სიხლის საამართლის საქმეებში), შედეგებისა და პროტესტის თაობაზე“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 22 თანამშრომელი.
- თემაზე - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა“ ჩატარდა 1 სრული კურსი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 25 თანამშრომელი .
- თემაზე - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების სასწავლო კურსი“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი.
- თემაზე - „იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო საკომუნიკაციო ვებპორტალთან დაკავშირებით“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 7 თანამშრომელი;
- თემაზე - „ლტოლვილთა სამართალი“. ჩატარდა 1 ტრენინგი. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 11 თანამშრომელი.
- თემაზე - „გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 2 თანამშრომელი.
- თემაზე - „ოჯახში ძალადობა“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 3 თანამშრომელი
- თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი.
- თემაზე - „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა-Case Bank“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 10 თანამშრომელი.

- თემაზე - „პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები“, ჩატარდა 1 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 9 თანამშრომელი.
- თემაზე - „ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერისა და სექსუალობის ნიშნით. ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“, ჩატარდა 2 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი.
- თემაზე - „შშმ პირთა უფლებები“, ჩატარდა 11 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 155 თანამშრომელი.
- თემაზე - „სექსუალობის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“, ჩატარდა 2 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 28 თანამშრომელი.
- თემაზე - „ბავშვის ოჯახიდან განცალკევება, როგორც უკიდურესი ზომა“, ჩატარდა 4 ტრენინგი, გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი.

2023 წლის 9 თებერვალს, ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების“ პროექტის (EGFAP) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „IPSAS სტანდარტების ძირითად პრინციპებსა და IPSAS in a box პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 2 თანამშრომელი.

2023 წლის 1-3 მარტს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ეფექტური კომუნიკაცია“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 66 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტი - ნიკ სტროპშიაერი, რუსუდან კვაჭანტირაძე და სერგი ჯორბენაძე.

2023 წლის 21-22 მარტს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შესავალი მედიაციაში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 17 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - სოფიო ჩაჩავა და სოფიო ტყემალაძე.

2023 წლის 24-26 მარტს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „შესავალი მედიაციაში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 16 თანამშრომელი. ტრენინგებს სულ თექვსმეტი ადვოკატი დაესწრო. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - სოფიო ჩაჩავა და სოფიო ტყემალაძე.

2023 წლის 2-5 მაისს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „მენეჯერული უნარები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტი - ვიქტორ ზაჰარია.

2023 წლის 8-10 და 15-18 მაისს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ტრენერის უნარ-ჩვევები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 20 თანამშრომელი. ტრენინგებს უძღვებოდნენ მონვეული ექსპერტები - სოფიო ჩაჩავა და ეთერ ჩაჩანიძე.

2023 წლის 7-8 ივნისს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შრომითი უფლებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 19 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა მონვეული ექსპერტი - სოფიო ჩაჩავა.

2023 წლის 13 ივნისს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „მონმეთა დაკითხვა როგორც სამოქალაქო, ასევე სიხლის საამართლის საქმეებში), შედავებისა და პროტესტის თაობაზე“ ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგა-

დოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 22 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ - საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის მენტორი და ტრენერი - ქეთი ქონიერსი, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს უფროსი და ქუთაისის ბიუროს ადვოკატი.

2023 წლის 17-18 ივნისს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შესავალი მედიაციაში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი- სოფიო ჩაჩავა.

2023 წლის 22-24 ივნისს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „შესავალი მედიაციაში“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 15 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - სოფიო ჩაჩავა.



2023 წლის 1 ივლისიდან - 30 სექტემბრის ჩათვლით ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგ-კურსი თემაზე - “სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა”. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 25 თანამშრომელი .

2023 წლის 25-28 ივლისს, აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიურომ (INL) ფლორიდის შტატის მაიაში-დეიდის ოლქის ადვოკატებთან ერთად ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების სასწავლო კურსი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი.

2023 წლის 13-14 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო საკომუნიკაციო ვებპორტალთან დაკავშირებით“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 7 თანამშრომელი . ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარიამ ზანგალაძე.


2023 წლის 24-25 ოქტომბერს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ლტოლვილთა სამართალი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 11 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თორნიკე ცაგარეიშვილი და სალომე ქუსიკაშვილი.

2023 წლის 31 ოქტომბერს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა

ტრენინგი თემაზე - „გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“ ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 2 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თომას შომერუსი და ჩაბა ქიში.

2023 წლის 26-27 ნოემბერ, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 14 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტები - თამთა ბაბუნაშვილი და მარია ანდრიანი კოსტოპოულოუ.

2023 წლის 7 დეკემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემა-Case Bank“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და ბიუროს უფროსები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 10 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - მარიამ ზანგალაძე.



2023 წლის 7-8 დეკემბერს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 9 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ლონდა თოლორაია და თამარ ქალდანი.

2023 წლის 6-7 დეკემბერსა და 8-9 დეკემბერს, (2 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერისა და სექსუალობის ნიშნით. ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 4 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ეკატერინე აღდგომელაშვილი, სოფიო ბედოშვილი, ქეთი ბახტაძე, სალომე შიუკაშვილი.

2023 წლის 11-12 დეკემბერს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „შპმ პირთა უფლებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 5 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - ანა არგანაშვილი და კობა ნადირაძე.

2023 წლის 2-3 დეკემბერსა და 13-14 დეკემბერს, (2 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „სექსუალობის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 28 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) გენდერის მკვლევარი - ეკატერინე აღდგომელაშვილი და იურისტი - ქეთი ბახტაძე.

2023 წლის 21-22 ოქტომბერს, 4-5 ნოემბერს, 2-3-დეკემბერსა და 16-17 დეკემბერს, (4 ტრენინგი) გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაიმართა ტრენინგი თემაზე - „ბავშვის ოჯახიდან განცალკევება, როგორც უკიდურესი ზომა“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 18 თანამშრომელი. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტები - თამარ ონიანი, სალომე ნამიჭეიშვილი, ნიკა სიმონიშვილი.

2023 წლის, 5, 6, 13, 14, 15, 18, 19, 20, 21, 22 დეკემბერს, (10 ტრენინგი) გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები. გადამზადდა 150 ადამიანი. ტრენინგს უძღვებოდა ექსპერტი - ანა არგანაშვილი.

2. იურიდიული კლინიკა

იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს მასშტაბით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად წარმატებით ჩამოყალიბდა სამსახურის იურიდიული კლინიკა, რომელიც სტუდენტებს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. საგანმანათლებლო პროგრამა 2023 წელსაც აქტიურად გრძელდება და მასში სულ უფრო და უფრო მეტი, როგორც ბაკალავრის ისე მაგისტრატურის სტუდენტი ერთვება.

იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში, მენტორი ადვოკატების ხელმძღვანელობით სტაჟირება გაიარა სამი უმაღლესი სასწავლებლის 33-მა სტუდენტმა.

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - 23 სტუდენტი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 4 სტუდენტი;
- ალტე უნივერსიტეტი - 6 სტუდენტი.

3. იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრის პორტალი

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მიმდინარე წელს შეიქმნა სასწავლო ცენტრის ვებ. პორტალი. აღნიშნული პორტალი შეიქმნა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. იგი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციონალებს, რომლებიც იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს დაეხმარებათ დეტალურად მიიღონ ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. ასევე, უფრო მარტივსა და გამჭვირვალეს გახდის ტრენინგზე რეგისტრაციის პროცესურას. პორტალის მეშვეობით, მომხმარებლებს შეეძლებათ ონლაინ ტრენინგების გავლა და ყველა საჭირო მასალის ჩამოტვირთვა. პორტალი იძლევა ყველა სახის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას.

ვებ. პორტალის ტექნიკური აღწერა არის შემდეგი სახის:

ძირითადი მოდული (დეშბორდი) - საინფორმაციო ბანერები, შეტყობინებები, გამოკითხვები, შეფასებები;

კენჭისყრის მოდული (გამოკითხვა) - ადვოკატებს/კონსულტანტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის თემების განსაზღვრაში;

კალენდარი - დაგეგმილი ტრენინგების კალენდარი ონლაინ რეგისტრაციის მოდულით;

რიმაინდერის ფუნქცია - კონკრეტული ტრენინგის ან მნიშვნელოვანი ღონისძიების დაწყების შესახებ ფუნქცია.

ტრენინგების მოდული - დაგეგმილი ტრენინგების ჩამონათვალი შესაბამისი სტატუსებით;

შეფასების მოდული - განვლილი ტრენინგების კითხვარის საშუალებით შეფასების მოდული (იძლეოდეს რედაქტირების საშუალებას, მაგალითად თუ გვინდა ორი ან სამი ტრენინგის დამატება, ან სპეციფიკური კითხვების დასმა რაც სტანდარტულ კითხვარში არ გვაქვს);

მესიჯინგის მოდული - იძლევა სხვა მომხმარებლებთან და პორტალის ადმინისტრატორებთან შეტყობინების გაგზავნის საშუალებას;

ფაილების მოდული - ადვოკატებს ეძლევათ საშუალება შეინახონ, გაანახლონ ან გააზიარონ მათთვის სასურველი ფაილები (არა უმეტეს 25 მბ);

ელ. მასალები - ტრენინგის შემდგომ გარკვეული დროის განმავლობაში სასწავლო ცენტრს უნდა შეეძლოს მასალების, ვიდეო ჩანაწერებისა და პრეზენტაციების გაზიარება ადვოკატებისთვის;

ტესტირების და გამოცდების მოდული;

მომხმარებლის პროფილის, ჩეთის და ბლოგის მოდული.



XI

სამსახურის
სამართლებრივი
აქტივობები

1. სამსახურის ანალიტიკური საქმიანობა

1.1. რეგიონული კვლევები

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადდა კვლევა - „ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის სირთულეები საქართველოში“. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობები ისეთ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას და მოითხოვს სპეციფიურ ცოდნას.

კვლევის ჩატარების უცილებლობა წარმოშობა ბავშვის საუკეთესო ინტერესის არასწორმა ინტერპრეტაციამ და არასათანადო გამოყენებამ. შედეგად ირღვევა ბავშვის ძირითადი უფლებები.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მომზადდა - სამედიცინო სამართლის შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობები ისეთ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც მოითხოვს სპეციფიურ ცოდნას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევა საპილოტე ხასიათისაა.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა ექსპერტ- ანა არგანაშვილთან ერთად შეიმუშავეს სახელმძღვანელო წესები შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირების იურიდიული დახმარების განეხილვისთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სამსახური ყოველწლიურად შშმ თემის ჩართულობით ამზადებს შიდაუწყებრივ სამოქმედო გეგმას შშმ პირებთან დაკავშირებით.

რეგიონული კვლევების ფრგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა, განახორციელეს ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა. კვლევის მიზანს, სამსახურის მიერ განეული მომსახურების შეფასება.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ:

- ბენეფიციართა მობილური კავშირგაბმულობისა და სოციალური ქსელების მეშვეობით გამოკითხვა;
- ბენეფიციართა უშუალო ინტერვიუება.

საკვლევ საკითხს - ტერიტორიული ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი/მოქნილი მომსახურების შეფასება წარმოადგენდა.

1.2. მომზადებული ანგარიშები

სამსახურის წარმომადგენლებმა მოამზადეს ყოველწლიური ანგარიში ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ანგარიში მიზნად ისახავს ამერიკის საელჩოსათვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ასახვას.

სამსახურის წარმომადგენელმა მოამზადა ყოველწლიური ეროვნული ანგარიში (ANP).

სამსახურის წარმომადგენელმა მოამზადა ევროპული კომისია სამართლიანობის ეფექტურობისთვის (CEPEJ) ყოველწლიური ანგარიში.

სამსახურის წარმომადგენელმა მოამზადა ტრეფიკინგის ბრძოლის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმაზე შესრულების პროგრესის ანგარიში.

სამსახურის წარმომადგენელმა მოამზადა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის შესრულების მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანგარიში.

სამსახურის წარმომადგენელმა, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მოამზადა საქართველოს ევროპული პერსპექტივის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, შეფასების ანგარიში.

სამსახურის წარმომადგენელმა, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მოამზადა ადამიანთა წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.

სამსახურის წარმომადგენელმა, მოამზადა ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს 1325 რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმებებით გათვალისწინებული აქტოვობების შესრულების შესახებ.

სამსახურის წარმომადგენელმა, მოამზადა ანგარიში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას, უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განიხილება მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება მათთვის გასაგებ ენაზე. სამსახურის წარმომადგენლების მიერ, მომზადდა სამსახურის სერვისები, სამართლებრივი ნორმებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების მიწოდება, სამომავლოდ ეთნიკური უმცირესობების ენებზე სათარგმნად.

1.3. საერთაშორისო ურთიერთობები და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

31 იანვარს, UNODC-ის დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება - „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის და დანაშაულის პრევენციის შესახებ გაეროს პრინციპებისა და სახელმძღვანელოების მიღების 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად“. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე დავით სიმონია, რომელმაც განიხილა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და სიახლეები. რეფორმების კუთხით აღინიშნა, ხარისხის გაუმჯობესება, ხელოვნური ინტელექტის და-



ნერგვა, სამსახურის წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობის ზრდა, ადვოკატთა მენტორობის სისტემის დანერგვა და სხვა. ღონისძიებაში მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმებმა საუკეთესო მონონება დაიმსახურა.

29 მაისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში, შეხვდნენ ლიეტუვის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს მინდაუგას კუკაიტის. შეხვედრაზე განვიხილეს საზოგადოებრივი ადვოკატების იურიდიულ დახმარებაში ჩართულობის საკითხები და მათი საქმიანობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული თავისებურებები. ლიეტუველი კოლეგების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხარისხის კონტროლისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების ჩაბმამ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში.

21 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, დავით სიმონია და სამსახურისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის ერთობლივი პროექტის კოორდინატორი ესწრებოდნენ საქართველოს ლტოლვილთა ფორუმს, რომელიც UNHCR Georgia - სა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ფორუმზე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ლტოლვილთა უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესზე. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ლტოლვილები ერაყიდან, ირანიდან, ეგვიპტიდან, სუდანიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებმაც საკუთარ გამოცდილებაზე, მიღწეულ წარმატებასა და სამომავლო მიზნებზე ისაუბრეს. დავით სიმონიამ თევზესაფრის მაძიებლებს განუცხადა, რომ მათთვის განეული იურიდიული დახმარების ხარისხი მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი ვიწრო სპეციალიზაციისა და ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც არის ხელოვნური ინტელექტი.



2023 წლის 7-11 აგვისტოს, გაეროს განვითარების პროგრამის UNDP მხარდაჭერით, საქართველოს სტუმრობს ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა დელეგაცია. დელეგაციას მასპინძლობენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და მოადგილე მიხეილ ხურციძე. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში არსებული უფასო იურიდიული დახმარების სისტემის შესწავლა და იურიდიული დახმარების სამსახურში მიმდინარე რეფორმების გაცნობა.

აღსანიშნავია, რომ ტაჯიკეთში მიმდინარეობს უფასო სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის ფორმირების პროცესი, ხოლო უზბეკეთში აღნიშნული სისტემა მხოლოდ ახლა ყალიბდება და ამ მხრივ, მათთვის უმნიშვნელოვანესია ჩვენი, როგორც ერთ-ერთი მონიწივე და განვითარებული სისტემის მქონე ქვეყნის გამოცდილების გაზიარება.

7 აგვისტოს დელეგაციის წევრები იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციულ ოფისს ესტუმრნენ და სამსახურის მართვის სისტემას, ორგანიზაციულ სტრუქტურას გაეცნენ. შემდგომ ვიზიტი განხორციელდა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში, სადაც შეხვდნენ



საზოგადოებრივ ადვოკატებსა და კონსულტანტებს, დაათვალიერეს თბილისის ბიუროს საკონსულტაციო და ქოლცენტრის განყოფილებები.

სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროში გამართულ შეხვედრაზე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველმა მოადგილემ, ნინო მელაძემ დელეგაციის წევრებს პრეზენტაციის საშუალებით გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის ისტორია, განვითარების ეტაპები, საკანონმდებლო მანდატი, სერვისები და მიმდინარე რეფორმები.

8 აგვისტოს ტაჯიკეთისა და უზბეკეთის დელეგაციის წევრები რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს ეწვივნენ. სტუმრებმა მოინახულეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი ლიფტი და ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული სპეციალური ოთახი. რუსთავის ბიუროს ადვოკატებმა უცხოელ კოლეგებს დეტალურად გააცნეს თავიანთი მუშაობის სპეციფიკა და ამომწურავად უპასუხეს მათ კითხვებს.



9 აგვისტოს, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მართლმსაჯულებაში ჩართული უწყებების წარმომადგენელთა დელეგაციის წევრები, რომლებიც საქართველოში სასწავლო ვიზიტით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით იმყოფებიან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ესტუმრნენ. ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა სტუმრებს გააცნო ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა, ეთიკის კომისიის ფუნქციონირება და ადვოკატის დამოუკიდებლობის სტანდარტები. ესაუბრა ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.



ამავე დღეს, დელეგაციის წევრთა მოთხოვნით, უფასო სამართლებრივი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით დამატებით ჩაინიშნა კონფერენცია, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე უძღვებოდა. მან უცხოელ კოლეგებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ბენეფიციართა კატეგორიებზე, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმეში ჩართვის პრინციპებზე, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრსა და განუული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სისტემაზე. ასევე უპასუხა დელეგაციის წევრთა შეკითხვებს.



იურიდიული დახმარების სამსახურის ელექტრონული სისტემების მართვის და ინფორმაციის დამუშავების სამმართველოს უფროსმა წარმოადგინა პრეზენტაცია სამსახურში დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის - «ქეის ბანკის» შესახებ, ისაუბრა ვებგვერდებზე, მობილური აპლიკაციისა და სამსახურში დანერგილი ხელოვნური ინტელექტის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე სტუმრების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ, მიხეილ ხურციძემ.



10 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტის წევრები უზბეკ და ტაჯიკ კოლეგებთან ერთად უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, თამარ ოქროპირიძემ სტუმრებს გააცნო საქართველოში მოქმედი სასამართლო სისტემა და უპასუხა მათ კითხვებს. ვიზიტის ბოლოს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ისტორიული შენობა, სასამართლო დარბაზები, ენვივნენ მუზეუმს, სადაც თავმოყრილია საქართველოს სასამართლო სისტემის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი ექსპონატები.

უზბეკეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ფაზილიდინ ზაპიროვმა და ტაჯიკეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა სოდიქ შონაზაროვმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ქართველ კოლეგებს გულთბილი მასპინძლობისთვის და აღნიშნეს, რომ ეს იყო ძალზე ნაყოფიერი ვიზიტი. მათ მიიღეს ღირებული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი უფასო იურიდიული დახმარებისა და მართლმსაჯულების სისტემის შესახებ, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების განხორციელების პროცესში. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბოლო წლებში სამსახურში განხორციელებულმა რეფორმებმა. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Tajikistan) კანონის უზენაესობის პროექტის მენეჯერმა შამა ფარუქმა აღნიშნა, რომ საქართველოს უფასო იურიდიული დახმარების სისტემა არის ერთ-ერთი მოწინავე მსოფლიოში და ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტაჯიკეთისა და უზბეკეთის იურიდიული დახმარების სისტემების ჩამოყალიბებაში. ამ საქმეში ქართველი ექსპერტების მომავლი ჩართულობა პოზიტიურ გავლენას მოახდენს მთელ

პროცესზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მჭიდრო ურთიერთობა უზბეკეთისა და ტაჯიკეთის დელეგაციებთან როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ შეხვედრების საშუალებით, მომავალშიც გაგრძელდება.

2023 წლის 7-11 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი, ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი, ქუთაისის ბიუროს ადვოკატი და ბათუმის ბიუროს ადვოკატი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ, ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსინის შტატში. ვიზიტი ორგანიზებული და მხარდაჭერილი იყო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ. მასში ასევე მონაწილეობდნენ ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.

პროგრამა მოიცავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების შესწავლასთან დაკავშირებით სემინარებსა და სასამართლო პროცესებზე დასწრებას, მონაწილეობას სასამართლო პროცესებს, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრაში, სადაც საშუალება ჰქონდათ უშუალოდ გასცნობოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებს და გაეზიარებინათ მათი გამოცდილება.

დავით სიმონიას საშუალება ჰქონდა შეხვედროდა ვისკონსინის შტატის იურიდიული დახმარების ხელმძღვანელობას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

იურიდიული დახმარების სამსახური მადლობას უხდის საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, განსაკუთრებით, ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს, რომლის უშუალო თანადგომით შედგა სამუშაო ვიზიტი. ასეთი სახის პროგრამები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მართლმსაჯულების სისტემას და აძლიერებს მასში ჩართულ ინსტიტუციებს.



16 აგვისტოს, ნიუ იორკის შტატში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია ეწვია ქალაქ ალბანის საადვოკატო ცენტრს და შეხვდა ნიუ-იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს რიჩარდ ლუისს. განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც აშშ-სა და საქართველოში მოქმედ მართლმსაჯულების სისტემას მოიცავდა და გადახდისუნარო პირთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას შეეხებოდა. ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება უფასო სამართლებრივი დახმარების ინსტიტუციების მუშაობის შესახებ.

დავით სიმონია: ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულების სისტემა ყველა მიმართულებით კარგადაა განვითარებული და მორგებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური პრინციპების დაცვაზე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს იურიდიული დახ-

მარების სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობას აშშ-ს შესაბამის სტრუქტურებთან.

რიჩარდ ლუისი: ამერიკის მართლმსაჯულებასაც აქვს გამოწვევები და ეს პირველ რიგში მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაა. ამავდროულად აშშ-ს მოსახლეობა, მათ შორის, იურიდიული საზოგადოება, მთლიანად მხარს უჭერს საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, ამით ისინი ისწრაფვიან საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.


შეხვედრაზე გადაწყდა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის და ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობით დაიწყება პროექტი, რომელიც ქართველი ემიგრანტების, მათ შორის, აშშ-ში არალეგალურად მყოფი მოქალაქეების სამართლებრივ დახმარებას მოიცავს.

15 აგვისტოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია შეხვდა ნიუ იორკის იურიდიული დახმარების სამსახურის სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელს, ტინა ლუნგოს. შეხვედრაზე განიხილეს უფასო სამართლებრივი დახმარების მექანიზმები გადახდისუუნარო მოსახლეობისათვის როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტინა ლუნგომ აღნიშნა, რომ მათი სამსახურის მიერ დახმარება გაენია არაერთ ქართველ ემიგრანტს და ამ მხრივ მუშაობა კვლავ გრძელდება. ამერიკელი კოლეგებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის გამოცდილების გაზიარება. გადაწყდა, რომ ურთიერთთანამშრომლობა გაღრმავდება და თანდათანობით, უფასო სამართლებრივ დახმარება უფრო ხელმისაწვდომი გახდება როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის

27 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურმა უმასპინძლა თურქმენეთის დელეგაციას, კერძოდ თურქმენეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის სხვადასხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებს, ასევე ომბუდსმენის ოფისის თანამშრომლებს. შეხვედრის მიზანი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოწვევები და აღნიშნულ პროცესში იურიდიული დახმარების სამსახურის როლისა და ჩართულობის დელეგაციის წევრთათვის გაზიარება. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ დელეგაციის წევრებს გააცნო სამსახურის მანდატი და გამოწვევები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, ასევე მათი გადაჭრის ხედვა და სამსახურის სამომავლო გეგმები, კანონთან კონფლიქტში მყოფ და დაზარალებულ/მონმე ბავშვებთან მიმართებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სამართლის კონგრესში, რომელიც 26 თებერვალს, ალტე უნივერსიტეტში ჩატარდა. სამართლის კონგრესი გახლავთ პირველი ფართომასშტაბიანი ღონისძიება, რომელიც მოიცავს დასაქმების ფორუმს იურისტი სტუდენტებისა და ახალგაზრდა იურისტებისთვის. ღონისძიების ფარგლებში ქ. თბილისში არსებული აკრედიტებული უნივერსიტეტების სამართლის სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ. ღონისძიების გახსნით ნაწილში სტუდენტებს სიტყვით მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით სიმონიამ და დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა იურიდიულ სფეროში არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე. ასევე, კონგრესის ფარგლებში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „განათლების როლი ადამიანის უფლებებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა სამართლის დოქტორი, ბესარიონ ზოიძე. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისის - ELSA Tbilisi - ისა და ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლა ISIE Georgia - ს ერთობლივი ღონისძიებას, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყოს სამართლის სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტების სამართლებრივი ცოდნის მიღებისა და პროფესიულ დასაქმებისთვის.

21 აპრილს, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და დირექტორის პირველი მოადგილე ნინო მელაძე და მოადგილე ქეთევან მურადაშვილი, შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში კელი დეგნანს. დირექტორის პირველმა მოადგილემ, ნინო მელაძემ წარადგინა პრეზენტაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მხარდაჭერით განხორციელებულ აქტივობებთან და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით. საუბარი შეეხო კონკრეტულ შედეგებს, რომელიც აღნიშნული პროექტების საშუალებით იქნა მიღწეული. ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსმა იამზე ზანდარაძემ სტუმრებს გააცნო რეგიონში არსებული მდგომარეობა



მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მიაწოდა სტატისტიკური მონაცემები ბიუროს მიერ ნაწარმოები საქმეებისა და უფასო სამართლებრივი დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა შესახებ.

19 მაისს კი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა ქ. ზუგდიდში, ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებულ ამერიკის კუთხეში, მიიწვია იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს თანამშრომლები. შეხვედრის ძირითადი თემა იყო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა, სამომავლო გეგმები და საჭიროებები. ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო უფროსმა აცნო ბიუროს მუშაობის სპეციფიკა, მართლმსაჯულების კუთხით რეგიონში არსებული საკითხები, გამოწვევები, პრობლემები. სამსახურის მიერ ცნობიერების ამაღლების კუთხით განეული საქმიანობა და სამომავლო გეგმები. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების მიმართულებით განეული საქმიანობა და დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლებში სამსახურის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის და ბულინგის საკითხებზე ბავშვებთან ჩატარებული შეხვედრები. საუბარი შეეხო ბავშვთა უფლებებს, ოჯახური ძალადობის საკითხებსა და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს. ცალკე საკითხად იქნა განხილული სამეგრელოს რეგიონში არსებული იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუხის ახალგაზსნილ საკონსულტაციო ცენტრზე და სამართლებრივი დახმარების მიღებაზე, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე დევნილებისთვის და აფხაზი მოქალაქეებისთვისაც. ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა, არის ძალიან დასაფასებელი დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის და აღფრთოვანებას იწვევს ისიც, რომ ბიუროში დატვირთული საქმიანობის პარალელურად, საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები ახერხებენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

14 აგვისტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია შეხვდა ნიუ-იორკში მოქმედი საადვოკატო კომპანიის ხელმძღვანელს ჯულიან ჰენრი ლოვენფელდს და ბიუროში დასაქმებულ ქართველ იურისტებს - დიანა და თეიმურაზ ქუთათელაძეებს. მასპინძლებმა დავით სიმონიას გააცნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა, რომლის მიხედვითაც კერძო საადვოკატო ფირმები სოციალურ პროექტებს ახორციელებენ. აღინიშნა, რომ ჯულიან ლოვენფელდის კომპანიის მომსახურებით დღემდე ათეულობით ქართველმა ემიგრანტმა ისარგებლა. გადაწყდა, რომ უწყებებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება და ქართველი პარალელგალები აქტიურად ჩაერთვებიან ემიგრანტებისათვის უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის პროცესში.

26 და 27 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ მიხეილ ხურციძემ ქალაქ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სპეციალიზებული იურისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მეოთხე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებამ შეკრიბა 40-ზე მეტი მონაწილე 23 ქვეყნიდან, რომლებიც ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები არიან.



მიხეილ ხურციდემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე - „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერება: იურიდიული დახმარების სერვისების ტრანსფორმირება ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით“. პრეზენტაცია შეეხებოდა სიახლეებს სამსახურის სისტემის „ქეის ბანკის“ განახლებაზე, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებაზე სამსახურის საქმისწარმოებისას, სამსახურის პორტალის განახლებას, მობილური აპლიკაციის აქტიურად გამოყენებასა და მობილური საკონსულტაციო ცენტრის პროექტის დაწყებას ქვეყნის მასშტაბით. დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ ინოვაციების დანერგვა და ღიაობა ტექნოლოგიური პროგრესისადმი პირველ რიგში, აძლიერებს სწრაფ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას და ზრდის უფლებათა დაცვის სტანდარტებს. პრეზენტაცია დადებითად იქნა შეფასებული მონაწილეთა მიერ და წარმატებული პრაქტიკის ნიმუშად დასახელდა.

16 დეკემბერს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია „ტენდენციები და გამოწვევები თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში“. დისკუსიაზე მინვეული იყვნენ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი დავით სიმონია და პროექტის კოორდინატორი. შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, ასევე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები. სამსახურის დირექტორმა, დავით სიმონიამ მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე პირებს, ხოლო პროექტის კოორდინატორმა წარადგინა პრეზენტაცია იურიდიული დახმარების სამსახურის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში არსებულ გამოწვევებისა და ტენდენციების შესახებ.

1.4. საქმისწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

2022 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად იურიდიული დახმარების სამსახურის ანალიტიკური სამმართველო გარდაიქმნა ანალიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტად, რასაც მოჰყვა დეპარტამენტის საქმიანობის ორგანიზაციული ცვლილებები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საზოგადოებრივი ადვოკატების ხელშეწყობაა საერთაშორისო დონეზე საქმეების წარმოებაში. აღნიშნული ცვლილების შედეგად სამსახურმა მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამში 5 საქმე გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელთაგან ერთი უკვე წარმოებაში აქვს სასამართლოს მიღებული და სამსახური ელოდება შემდეგ კომუნიცირებას იუსტიციის სამინისტროსთან.

სამი საქმე გაიგზავნა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს, ხოლო ერთი საქმე თბილისის სპეციალიზირებულ საქმეთა ბიუროს მიერ. ამასთან, ერთი საქმე გაგზავნილი იქნა რუსთავის ბიუროს ადვოკატის დახმარებით მსჯავრდებულისთვის, თუმცა არა სამსახურის სახელით, ვინაიდან განმცხადებელს თავიდანვე განემარტა, რომ საქმის პერსპექტიულობა დარღვევების დამდგენი მტკიცებულებების არ არსებობისა და სხვა გარემოებების გამო საეჭვო იყო. მიუხედავად ამისა, სამსახურმა ბენეფიციარის ინტერესების ყველა არსებული საშუალებით დასაცავად მაინც შეუდგინა ევროპული სასამართლოს ფორმის დაცვით განცხადება, მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ფაქტებისა და ინფორმაციების საფუძველზე.

გაგზავნილი საქმეების უმეტესობა მოიცავდა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას შეეხება. ასევე, მე-13 მუხლს ეფექტური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სუბსიდიურ ნორმას

და აუცილებელია მასთან ერთად დგინდებოდეს კონვენციის სხვა მუხლის დარღვევა. საქმეებში იყო ასევე, მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტები პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესახებ, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციის №1 ოქმის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა. მოცემულ დარღვევებს ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით აღნიშნული საქმეების შესახებ განმცხადებლების პირადი მონაცემების დაცვის პატივისცემით.

1.5. საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

2023 წლის 19 მაისს, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ხელმძღვანელის, მენტორი ადვოკატის მიერ მომზადებული იქნა საკონსტიტუციო სარჩელი, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სადავო ნორმას წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ქმედების სისხლის სამართლის 19,109-ე მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევაში გამოირიცხავს ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას, მაშინ, როდესაც მკვლელობის მცდელობის ბრალდება მოიცავს ბრალდებას დამთავრებულ მკვლელობაზეც და მკვლელობის მცდელობაზეც.

1.6. მემორანდუმები

22 მაისს, ზუგდიდში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და ასოციაცია “მერკურის” ხელმძღვანელმა ნანა თოდუამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის მიზანია ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და სავარაუდო მსხვერპლებისათვის სრულფასოვანი კრიზისული დახმარების გაწევა და გრძელვადიანი მხარდაჭერა. იურიდიული დახმარების სამსახური მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ასოციაცია “მერკურის” ბენეფიციარებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები არიან, გაუწიოს უფასო იურიდიული კონსულტაცია, უზრუნველყოს მათთვის სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება და ადვოკატის მომსახურება. ასოციაცია “მერკურის” ხელს შეუწყობს სამსახურის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა საგანმანათლებლო, ინფორმაციულ და ახალგაზრდულ ინიციატივებში ბენეფიციარების მაქსიმალურ ჩართვას, უზრუნველყოფს ბენეფიციარების გადამისამართებას და კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს ფსიქო-სოციალურ და სხვა სახის მხარდაჭერას სამსახურის მიერ გადამისამართებულ ბენეფიციარებს.

29 მაისს, ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და ლიეტუვის იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ზივილი პოჟელინემ გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც, სხვა საკითხებს შორის, ითვალისწინებს მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სამსახურის რეფორმების დარგში ინფორმაციის მიმოცვლას, შემდგომ თანამშრომლობას. მანამდე სამსახურის დირექტორის და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი შეხვდნენ ლიეტუვის იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმ-




ძღვანელობას, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის სანდრა სმულაიტეს მონაწილეობით. შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს ლიეტუვასა და საქართველოში იურიდიული დახმარების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებული რეფორმები. ლიეტუველი კოლეგების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სამართლის დიგიტალიზაციის, ხელოვნური ინტელექტის დანერგვის პროცესმა, რომელიც მათ სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ გააცნო. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის გაცნობა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახურში. საუბარი შეეხო მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მხრივ განხორციელებული პროექტებასაც. ქართული მხარისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების შრომის ანაზღაურების წესი, რომელიც ლიეტუველმა კოლეგებმა წარმოადგინეს.



12 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის ბიუროში განხორციელდება ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა სტუდენტი პარალელელებისთვის. ასევე, პროექტ „პარალელელების“ ფარგლებში ერთობლივად დაიგეგმება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის მიზნით.

15 სექტემბერს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას - მედიაციის ინსტიტუციური განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით. მხარეებმა განიხილეს და მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმეს სამომავლო აქტივობები, მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურში არსებულ საქმეთა მედიაციაში რეფერირების, პრაქტიკაში დანერგვა-განხორციელების იდეა.

5 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი, ეფექტიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ მოაწერეს. თანამშრომლობის მთავარ მიზანს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა უფლებების ეფექტურად დაცვა და ამ მიმართულებით იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის





9 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დავით სიმონიამ და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; სამშვიდობო მისიებში მონაწილე პირებისთვის სამსახურის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ მიზნით სამართლებრივი საჭიროებების შესახებ კვლევების და ტრენინგების ჩატარება; თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით. მემორანდუმის მიზნების მისაღწევად, ორივე უწყება განახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტს - საინფორმაციო კამპანიებს და პანელურ დისკუსიებს.

19 ოქტომბერს, იურიდიული დახმარების სამსახურსა და ინფორმაციულ დეველოპერულ ჰაბს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია პროექტის - „ქუთაისის ახალგაზრდების ცნობადობის გაზრდა ადამიანის უფლებების შესახებ ქართული სამართლებრივი სისტემის ქრილში“ - ფარგლებში ერთობლივი აქტივობების განხორციელება, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ახალგაზრდების სამართლებრივი მართლშეგნების დონის ამაღლება.



22 ნოემბერს, ანტიკორუფციული ბიუროს ორგანიზებით მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. იურიდიული დახმარების სამსახურს, ანტიკორუფციულ ბიუროს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა, რაც მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას შეეხება. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად შეუწყობენ ხელს მამხილებლის დაცვის მექანიზმების განვითარებასა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციას. ასევე ის მოიაზრებს ერთობლივი მექანიზმების შემუშავებას მამხილებლის უფასო ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციის უზრუნველყოფის მიზნით; გადაწყდა, რომ ერთობლივად უზრუნველყოფენ კონსულტაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისა და საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებას.

XII

იურიდიული დახმარების
საბჭოს საქმიანობა

2023 წელს გამართულ იურიდიული დახმარების საბჭოს სხდომებზე არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

2023 წელს, იურიდიული დახმარების საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- 2023 წლის 11 იანვრის N108 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ 2022 წლის 27 ნოემბრის N104 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ცვლილება შევიდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ იურიდიული საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის N104 გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებულ დანართ N1-ში და აღნიშნული დანართი ჩამოყალიბდა წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N1-ის შესაბამისად.
- 2023 წლის 11 იანვრის N109 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხის ზღრული ოდენობის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 27 ნოემბრის N105 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- 2023 წლის 23 იანვრის N110 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ 2022 წლის 27 ნოემბრის N104 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2023 წლის 17 თებერვლის N111 გადაწყვეტილება რაჭდენ კუპრაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- 2023 წლის 8 მარტის N112 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის არჩევის შესახებ; აღნიშნული გადაწყვეტილებით სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორად ხუთი წლის ვადით არჩეული იქნა დავით სიონია.
- 2023 წლის 19 ივლისის N113 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატ ვ.გ.-ს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაზე თანხმობის გაცემის შესახებ; აღნიშნული გადაწყვეტილებით სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს - დავით სიმონიას მიეცა თანხმობა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი - ვ.გ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, შესაბამისად შეწყდა შრომითი ხელშეკრულება და გათავისუფლდა იგი ადვოკატის თანამდებობიდან.
- 2023 წლის 16 აგვისტოს N114 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 ბიუჯეტის პროექტის საქარველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენაზე თანხმობის გაცემის შესახებ;
- 2023 წლის 16 აგვისტოს N7 დადგენილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ, გადაწყვეტილების თანახმად სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარედ 2023 წლის 25 აგვისტოდან, 1 წლის ვადით არჩეული იქნა იურიდიული დახმარების საბჭოს წევრი - სოფიო ჩაჩავა.
- 2023 წლის 16 აგვისტოს N115 გადაწყვეტილების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხ-

ლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი, რომელიც იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით გადახდისუუნარო პირად არ მიიჩნევა, უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით) და დასტურდება ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა: ა) „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად, პირი არის დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარი; ბ) არის მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი და ცხოვრობს მასთან ერთად;

გ) არის მრავალშვილიანი მშობელი (ჰყავს 3 და მეტი შვილი); დ) საპენსიო ასაკს მიღწეული პირია; ე) თუ პირს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი; ვ) თუ პირი მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობებს; ზ) თუ პირი არის LGBTQIA+ წარმომადგენელი;

- 2023 წლის 24 ნოემბრის N116 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილებით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება დამტკიცდა მისი დანართის შესაბამისად, ხოლო ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2023 წლის 23 იანვრის N110 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა ბავშვის უფლებათა სპეციალიზაცია, დაზუსტდა თბილისის სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს მანდატი, გაუქმდა ბავშვთა ბიურო, სასწავლო ცენტრის მანდატს დაემატა პარალელგალების პროექტი, განისაზღვრა იმ ადვოკატის საქმეში ჩართვის საკითხი, რომელიც შედის სხვა სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მოქმედ იურიდიული დახმარების ბიუროს შემადგენლობაში.

- 2023 წლის 24 ნოემბრის N117 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების განვითარების კრიტერიუმებში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ, გადაწყვეტილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა იურიდიული დახმარების განვითარების კრიტერიუმებში, კერძოდ **სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი უფლებამოსილია**, მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირისთვის იურიდიული დახმარების განვითარების შესახებ, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

1. პირი მომართვამდე რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის N424 დადგენილების შესაბამისად ითვლებოდა გადახდისუუნაროდ და ენიჭებოდა სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მაგრამ მომართვისას მისი ბოლო მონაცემი გადასულია არქივში;

2. თუ პირის ოჯახი არაა რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და წარმოდგენილი სარწმუნო დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ მისი ოჯახი იმყოფება ისეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ მიერ ადვოკატის დაქირავებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებას;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირის მიერ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტი მისი ან მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)

3. პირი დაავადებულია მძიმე ან განუკურნებელი დაავადებით, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის** 2013 წლის 15 თებერვლის N201-6/ნ ბრძანებით, ასევე, **საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ შესაბამისი დადგენი-**

ლებით და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV -100/ა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)

4. მართხელა მშობელი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

5. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მისი პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

6. ასაკით პენსიონერი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

7. პირი იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი, ადვოკატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია და არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი; (09.11.2015 N31)

(ოჯახის წევრი, ახლო ნათესავთა წრე – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ოჯახის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი)

8. მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, ;რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

9. **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ **ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი**, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი)

10. საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „**კათარზისის**“ (სათნოების სახლი) ბენეფიციარი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი;

(წარმოსადგენი დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისის“ (სათნოების სახლი) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი)

(წარმოსადგენი დოკუმენტი – დაბადების მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა)

11. პირი, რომელსაც ოჯახში კონფლიქტის ან ერთობლივ შემოსავალზე შეზღუდული წვდომის არსებობის შემთხვევაში ესაჭიროება იურიდიული დახმარება. (28.12.2021 N97);

12. პირი, რომელსაც მიმართული აქვს ან აპირებს მიმართვას შესაბამისი ორგანოსათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციასთან და სოცი-ალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამონმებასთან) და-კავშირებით.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის დამადასტუ-რებელი დოკუმენტი არსებობის შემთხვევაში)

13. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მაძიებელი პირი რომელსაც მიმართული აქვს ან აპირებს მიმართვას შესაბამისი ორგანოსათვის.

(წარმოსადგენი დოკუმენტი – ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის დამადასტუ-რებელი დოკუმენტი არსებობის შემთხვევაში)

14. მამხილებელი პირი მხილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ან მის ახლო ნათესავები მხილებიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის საკითხებზე;

- 2023 წლის 24 ნოემბრის N118 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე; გადაწყვეტილებით განისაზღვრა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები, კერძოდ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიები განისაზღვრა შემდეგი სახით:

1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;
2. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიუ-ლი დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის მუნიციპალი-ტეტის ტერიტორია;
3. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზ-ბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;
4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად, გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიუროს ამოქმედებამდე გა-ნისაზღვროს: თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ტერიტორია, ხოლო გურჯაანის იურიდიული დახმარების ბიუროს ამოქმედების შემდგომ თელავის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: თე-ლავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ტერიტორია, ხოლო გურჯაანის იურიდიული დახ-მარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: გურჯაანის, ყვარლისა და ლაგო-დეხის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
5. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნი-ციპალიტეტების ტერიტორია;
6. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
7. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის გორის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქ-მედო ტერიტორიად განისაზღვროს: გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტე-ტების ტერიტორია;
8. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს სა-მოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნი-

ნონმიდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;

9. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
10. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
11. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხორონწყუსა და მესტიის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
12. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ფოთის, სენაკის, აბაშას, ხობისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
13. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
14. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორია;
15. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბიურომ შესაძლებელია განახორციელოს იურიდიული დახმარება სხვა ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში;

- 2023 წლის 24 ნოემბრის N119 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელის დებულების დამტკიცების შესახებ.
- 2023 წლის 24 ნოემბრის N120 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 21 დეკემბრის N121 გადაწყვეტილება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ;
- 2023 წლის 21 დეკემბრის N122 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 21 დეკემბრის N72 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2023 წლის 21 დეკემბრის N123 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 21 დეკემბრის N71 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2023 წლის 21 დეკემბრის N124 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N18 და 2015 წლის 9 სექტემბრის N25-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- 2023 წლის 21 დეკემბრის N125 გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 5 თებერვლის 100-ე გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

XIII

სამსახურის
ადმინისტრაციული
საქმიანობა

1. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა

2023 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დოკუმენტბრუნვა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სულ - **21407** დოკუმენტი
შიდა დოკუმენტი - **10330**
გარედან შემოსული - **5667**
გასული - **1632**

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები:

3775 ბრძანება,
3 - გადაწყვეტილება

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის 2018 წლის 27 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2023 წელს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან შემოსულ მომართვების საფუძველზე - 110-მდე მოქალაქის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადებებზე მოხდა რეაგირება.

საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა

150-მდე წერილი

სახალხო დამცველის აპარატის მომართვები

52 წერილი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მომართვები

17 - წერილი

2. საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა რაოდენობა - **13**

გაცემული ინფორმაცია - **13**

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირები:

- ✓ მოქალაქე (5 წერილი);
 - ✓ ა(ა)იპ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი;
 - ✓ ა(ა)იპ ილიას სამართლის სახლი „ილიასი“;
 - ✓ ა(ა)იპ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი;
 - ✓ ა(ა)იპ უფლებები საქართველო;
 - ✓ ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები;
 - ✓ ა(ა)იპ პლატფორმა „კომენტარი“;
 - ✓ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
 - ✓ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 - ✓ მოქალაქეთა განცხადებები (5 წერილი):
- არასრულწლოვან პირთა მომართვიანობის სტატისტიკა;
 - სტატისტიკური ინფორმაცია;
 - სტატისტიკური ინფორმაცია „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებულ სამართლებრივ საკითხებზე.
 - „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ მიღებიდან დღემდე მომსახურების განვითარებას კონკრეტულად ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვასა და ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.
 - 2013-2023 წლებში სამსახურის სანვავის ხარჯებთან დაკავშირებით.
 - 2020-2023წწ შშმ პირებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, სამსახურის ტერიტორიულ ერთეულებში შშმ პირებისათვის შენობა-ნაგებობების შიდა და გარე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა შშმ პირებთან საჭირო უნარების განვითარების მიზნით გადამზადების შესახებ ინფორმაცია.

ა(ა)იპ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრი;

2019-2023 წწ

- არასრულწლოვნების უფლებების დარღვევა-დაცვასთან დაკავშირებით აღძრულ სამოქალაქო სამართლის საქმეების სტატისტიკური ინფორმაცია, დავის საგნების მითითებით;

ა(ა)იპ ილიას სამართლის სახლი „ილიასი“ :

2020-2023 წწ.

- სტატისტიკური ინფორმაცია (ქალების მომართვიანობა) მეუღლეებს შორის ქონების გაყოფის , მამობის დადგენის, ალიმენტის საკითხებზე.
- სამოქალაქო საქმეებზე განსაზღვრული ადვოკატების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ადვოკატების მიერ წელიწადში საქმის წარმოების საშუალო მაჩვენებელი;
- ადვოკატების დატვირთულობის კვლევის შესახებ ინფორმაცია;

- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შესაფასებლად რა მექანიზმი არსებობს;
- მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ა(ა)იპ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

2018-2023წწ.

- სტატისტიკური ინფორმაცია დისკრიმინაციის საქმეზე ქალ ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეებში იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

ა(ა)იპ უფლებები საქართველო;

- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის შესახებ, ამ ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგის გამოყოფის კრიტერიუმების და სამსახურში არსებული ფსიქოლოგების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, მათი სტრუქტურული მოწყობის შესახებ ინფორმაცია.

ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები;

- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანაწესის ასლი.

ა(ა)იპ პლატფორმა „კომენტარი“;

2019 – 2023 წწ.

- სტატისტიკური ინფორმაცია მოქალაქეთა მომართვიანობის შესახებ გადახდისუნარიანობის სტატუსის მიხედვით ან მის გარეშე ფიზიკურ პირებს შორის სესხთან ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე;
- სტატისტიკური ინფორმაცია საარსებო შემწეობის მიღების, შეჩერების, აღდგენის, განახლების საკითხებზე მომართვიანობის შესახებ (მათ შორის რამდენი შემთხვევა ეხება კონსულტაციას და რამდენი უშუალოდ იურიდიული დახმარების ცალკეულ სახეს);
- ინფორმაცია იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდება იურიდიული დახმარების გაწევა გადახდისუნარო პირებისათვის;
- ინფორმაცია სამოქალაქო საქმეებში დავის კატეგორიის ან საგნის შესახებ, რომელზეც ყველაზე მაღალი მომართვიანობაა იურიდიული დახმარების სამსახურში და რომელზე გასწია მომსახურება ყველაზე მეტჯერ.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;

2018-2023წწ.

- სტატისტიკური ინფორმაცია ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის შრომით სამართლებრივ დავებზე (კონსულტაცია, წარმომადგენლობა - სასამართლოში).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI - 1 წერილი);

2022 – 2023 წწ

- საშტატო ნუსხის შესახებ ინფორმაცია;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი, სადაც ასახულია ხელშეკრულების საგნის (სამუშაო პოზიციის) და განსაზღვრული ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;
- არსებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, თითოეულის ვაკანტურობის ხანგრძლივობის მითითებით;
- მოქმედი შრომით ხელშეკრულების ასლი, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შორის ყველაზე დიდი შრომის ანაზღაურება. (პერსონალური მონაცემების დაფარვით)
- მრჩევლის პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, (პერსონალური მონაცემების დაფარვით), აგრეთვე ინფორმაცია მათი განათლებისა და წარსული სამუშაო გამოცდილების შესახებ (პერსონალური მონაცემების დაფარვით).
- ყველაზე დიდი ხარჯის მქონე სარესტორნო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები (ჩეკი ან/და ინვოისი);
- განხორციელებული ყველაზე დიდი ხარჯის მქონე მივლინების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, რის საფუძველზეც ანაზღაურდა განუული ხარჯი;
- სარეკლამო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები;
- სამსახურის ბალანსზე არსებული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდე-ლი, გამოშვების წელი, შესყიდვის წელი და ღირებულება);
- უწყებაში განხორციელებული ბოლო ინვენტარიზაციის საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის ასლი.
- შიდა აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმები;
- ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია, დახურული შიდა და გამარტივებული (ცალ-ცალკე) კონკურსების და მათი მონაწილეთა რაოდენობა (მათ შორის გთხოვთ, მიუთითოთ რამდენ მათგანს ესწრებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი მონიტორინგის მიზნით);
- გადაუდებელი აუცილებლობით ან ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარებისთვის განხორციელებული ყველაზე ძვირად ღირებული გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში, ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.
- „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურის მიერ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ჩამონათვალი, მათი ერთიანი რეესტრში რეგისტრირების თარიღის (წელი) მითითებით.
- ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი 2022 წლის ანგარიში.
- წლების განმავლობაში მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება (სამივე ინსტანცია) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე იმ შრომით დავებზე სადაც მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე) იყო სამსახური. გადაწყვეტილებების მიწოდება, მათ შორის კანონიერ ძალაში არ შესული გადაწყვეტილებები.

- სამსახურის წინააღმდეგ მიმდინარე შრომითი დავების საერთო რაოდენობა რომელთა შესახებაც ამ დრომდე არ არის გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები (ინსტანციების მიხედვით).
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რეესტრი/ჩამონათვალი, სადაც ასახულია ინფორმაციის მოთხოვნის თარიღი, მოთხოვნის შინაარსი, პასუხის გაცემის თარიღი და განცხადების დაკმაყოფილების სტატუსი.

3. სამსახურის ფინანსური ანგარიში

3.1. 2023 წლის ფინანსური ანგარიში:

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) შემონირულებები და გრანტები;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტი 2023 წელს შეადგენდა სულ **10, 400, 000.00** ლარს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს სულ **10,304,103.23** ლარს

შრომის ანაზღაურება - **5,634,660.35** (ლარი);

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - **3,110,201.39** (ლარი);

მივლინების ხარჯები - **95,356.62** (ლარი);

ოფისის ხარჯები - **489,830.44** (ლარი);

წარმომადგენლობითი ხარჯი - **26,607.38** (ლარი);

სამედიცინო ხარჯი - **206.64** (ლარი);

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - **3,619.16** (ლარი);

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - **426,113.78** (ლარი);

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - **203,061.39** (ლარი);

სოციალური უზრუნველყოფა - **140,549.06** (ლარი);

მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - **19,527.26** (ლარი);

არაფინანსური აქტივების ზრდა - **54,369.76** (ლარი).

3.2. 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვები

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენს **1 405 660** ლარს.

სულ გაფორმდა 128 ხელშეკრულება - ჯამში **1 289 199.48** ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 89 ხელშეკრულება და 3 ინტერნეტის გამონერის გზით (ხელშეკრულების გარეშე) - თანხით **424 549.14** ლარი,

ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 19 ხელშეკრულება თანხით **374 359.72** ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 20 ხელშეკრულება თანხით **490 290.62** ლარი.

შესყიდვების გეგმა შესრულდა **92%**-ით.

3.3. მონვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

2023 წელს, განხორციელდა რეესტრის ადვოკატების მიერ ნაწარმოები 1,208 საქმის ანაზღაურება, მათ მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, კერძოდ:

ბათუმი	104 საქმე	16,721 ლარი;
ოზურგეთი	49 საქმე	4,608 ლარი;
თბილისი	366 საქმე	43,181 ლარი;
ზესტაფონი	19 საქმე	2,836 ლარი;
ქუთაისი	102 საქმე	7,529 ლარი;
თელავი	124 საქმე	10,902 ლარი;
სიღნაღი	29 საქმე	3,247 ლარი;
მცხეთა	37 საქმე	4,582 ლარი;
ზუგდიდი	49 საქმე	3,863 ლარი;
ფოთი	3 საქმე	258 ლარი;
ახალციხე	59 საქმე	6,719 ლარი;
რუსთავი	154 საქმე	17,271 ლარი;
გორი	113 საქმე	10,944 ლარი.

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების ნაწარმოებ საქმეებში სამსახურმა სულ გადაიხადა - **132,661** ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს 2023 წელს უსასყიდლოდ გადმოეცა სამი ავტომობილი შემდეგი მონაცემებით:

1. Hunday i20 სახ.ნომრით MM-120-JJ
2. Skoda Octavia სახ.ნომრით OU-899-OU
3. Mercedes-Benz Sprinter სახ.ნომრით GQ-311-QQ

4 იურიდიული დეპარტამენტი

4.1. სამსახურის მიმართ სასამართლოში მიმდინარე დავები

1) მოსარჩელე: ვ. გ., **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: იურიდიული დახმარების საბჭოს 2022 წლის 27 ნოემბრის #104 და #105 გადაწყვეტილებების გადაგზავნა.

საქმის სტატუსი: მიმდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლო

2) მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

საქმის სტატუსი: მიმდინარე

3) მოსარჩელე: ვ. გ.; გ. შ.; ი. ნ. და სხვები; **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანანქვეშა ცვლილების შეტანის შესახებ (დისციპლინური წარმოება) სამსახურის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის LA 3 20 00000965 ბრძანების ბათილად ცნობა;

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრეს მოსარჩელეებმა.

4) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, სახელფასო დანამატის და დაკავებული სარგოს ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მორალური ზაინის ანაზღაურება.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება (დაკმაყოფილების ნაწილში) სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ.

5) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: დისციპლინური სახდელის ბათილად ცნობა.

საქმის სტატუსი: მიმდინარე

6) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: მოპასუხის მიერ ჯილდოს გაცემა / მოპასუხეზე გასაცემი ჯილდოს დაკისრება.

საქმის სტატუსი: აღნიშნულ საქმეზე მოპასუხის მიერ წარდგენილია კვალიფიციური შესაგებელი. ამ ეტაპზე საქმის განხილვა არის შეჩერებული თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხვა საქმის განხილვის დასრულებამდე.

7) მოსარჩელე: ვ.გ. **მოპასუხე:** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; მესამე პირი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; დავის საგანი: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კანონდამრღვევად ცნობა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავების ნაწილში.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნული საქმე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა.

8) მოსარჩელე: მ.შ. **მოპასუხეები:** საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა 10 000 ლარის ანაზღაურება, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაეკისრათ 10 000 ლარის ანაზღაურება სოლიდარულად.

9) მოსარჩელე: ვ.გ., **მოპასუხე:** სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური. დავის საგანი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2023 წლის 18 ივლისის LA 4 23 00002196 (სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ) ბრძანების ბათილად ცნობა, ადვოკატის თანამდებობაზე აღდგენა, კომპენსაციის დაკისრება და განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნულ საქმეზე მოპასუხის მიერ წარდგენილია კვალიფიციური შესაგებელი. ამ ეტაპზე საქმეს განხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოში.

10) მოსარჩელე - შპს „თ.მ.“ად მოპასუხე - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, დავის საგანი: სამსახურის დავალდებულება შპს „თეგეტა მოტორსის“ სასარგებლოდ 3,365.8 ლარის, საიდანაც ძირი თანხა შეადგენს 3,167 ლარს, ხოლო დარიცხული პირგასამტეხლო 198.8 ლარის გადახდის შესახებ.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის საქალაქო სასამართლოში.

11) მოსარჩელე - ლ.მ., მოპასუხე - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, ზეგანაკვეთური 2944 სამუშაო საათის ანაზღაურების შესახებ ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.

საქმის სტატუსი: მიმდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლო

12) საჩივრის ავტორი - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, მოწინააღმდეგე მხარე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, **მოთხოვნა:** ელ. საჭარიმო ქვითრის და დადგენილების ბათილად ცნობა.

საქმის სტატუსი: მიმდინარე თბილისის საქალაქო სასამართლო

4.2. ადმინისტრაციული წარმოებები

2023 წლის მონაცემებით სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური მონაწილეობდა ერთ ადმინისტრაციულ წარმოებაში.

4.3. დისციპლინური საქმეები

2023 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმოებაში იყო 12 (თორმეტი) დისციპლინური საქმე,

ზემოაღნიშნული საქმეებიდან, 4 (ოთხი) შემთხვევაში, წარმოება დაიწყო 2022 წელს და დასრულდა 2023 წელს. მითითებული 7 (შვიდი) საქმიდან დისციპლინური სახდელი გაფრთხილება გამოყენებულ იქნა 1 (ერთი) შემთხვევაში, საყვედური - 1 (ერთი) შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგოს დაკავება - 1 (ერთი) შემთხვევაში და სამსახურიდან განთავისუფლება - 1 (ერთი) შემთხვევაში. 2 (ორი) პირის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო 7 (შვიდი) პირის მიმართ არ დადასტურდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან, 3 (სამი) შემთხვევაში, წარმოება დაიწყო 2023 წელს და გაგრძელდა 2024 წელს.

დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, წინასწარი მოკვლევა დაიწყო 14 (თოთხმეტი) საქმეზე.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან, ყველა მათგანზე წინასწარი მოკვლევა დაიწყო 2023 წელს და ერთზე დასრულდა 2024 წელს.

იურიდიულ საქმეთა და ადმინისტრაციული წარმოების სამმართველომ მოამზადა შემდეგი სახის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები ან/და მათი პროექტები - ბრძანებები, ხელშეკრულებები, წერილები, მინდობილობები და სხვა.

მონაწილეობა მიიღო სამსახურის სახელით მომზადებული საინფორმაციო ბროშურების პროექტების შესწორებაში.

მოაგროვა და გაანალიზა, იურიდიული დახმარების განვსახე უარის თქმის შესახებ, ბიუროს ხელმძღვანელის/საკონსულტაციო ცენტრის გადაწყვეტილებები.

გაანალიზა სამსახურის შესახებ ან სამსახურის მანდატიდან გამომდინარე კანონში შესატანი ცვლილებები.

მონაწილეობა მიიღო სამსახურის ვებ-გვერდის განახლებასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებში.

განიხილავს, ბიუროს ხელმძღვანელის/საკონსულტაციო ცენტრის მომართვებს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საგამონაკლისო წესით იურიდიული დახმარების განვსახე შესახებ.

განიხილავს, სამსახურის დებულებით გათვალისწინებული წესით ბიუროს ხელმძღვანელის/საკონსულტაციო ცენტრის მომართვებს, საქმეში საზოგადოებრივ რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის ჩართვის თაობაზე.

აგროვებს იურიდიული დახმარების სამსახურის სასარგებლოდ, იურიდიული დახმარების ხარჯების მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას.

აანალიზებს და ამუშავებს, იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის სასარგებლოდ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის განხილვისას გადაწყვეტილების გამოსატანის შემთხვევაში, მონინააღმდეგე მხარისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის სასარგებლოდ იურიდიული დახმარების ხარჯების ანაზღაურების წესს.

5. სამსახურის მიერ წარმოები საქმეები (სტატისტიკური ინფორმაცია)

5.1. სტატისტიკური მონაცემები

2023 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ:

- წარმოებაში იქნა მიღებულ 20 840 საქმე;
- განეულ იქნა 24 539 კონსულტაცია;
- აპლიკაციის LAS Georgia-ს მეშვეობით განეულ იქნა 1805 კონსულტაცია;
- შედგენილ იქნა 2 565 სამართლებრივი დოკუმენტი.

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2023
11196	9291	10140	8633	7173	11764	10993	11682	12220	13878	16086	18044	13324	17442	20 840

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა დარგების მიხედვით

(სულ: 20 840 საქმე)

დარგი	რაოდენობა
სისხლის სამართლის საქმეები	14 418
სამოქალაქო სამართლის საქმეები	4 525
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	1 897

წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობა ბიუროების მიხედვით

(სულ: 20 840 საქმე)

ბიურო	რაოდენობა
ბათუმი	2 597
თბილისი	5 123
ზესტაფონი	632
ქუთაისი	2 168
თელავი	943
სიღნაღი	361
მცხეთა	607
ზუგდიდი	1 041
ფოთი	517
ახალციხე	696
რუსთავი	1 861
გორი	967
ოზურგეთი	476

სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	2 841
აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო	6
დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო	4

წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეები კატეგორიების მიხედვით

(სულ : 14 418)

ნაკლებად მძიმე	8 845
მძიმე	4 536
განსაკუთრებით მძიმე	1 037

წარმოებაში მიღებული საქმეები ინიციატორების (მოხმართველი სუბიექტების) მიხედვით

სულ : 20 840

ფიზიკური პირი	3 128
გამოძიება/პროკურატურა	11 355
სასამართლო	6 313
სასჯელაღსრულება	26
ადმინისტრაციული ორგანო	10
არბიტრაჟი	8

საქმის წარმოებაში მიღების საფუძვლის მიხედვით

არასრულწლოვანი	3 931
არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა	2 539
აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას	642
გადახდისუნარო დასაცავი პირი(70000 ჟულა)	1 035
დირექტორის საგამონაკლისო უფლება	71
ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობა	37
სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	50
ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით	89

დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებში საპროცესო შეთანხმებათა წილი

დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები სულ:	12 328
აქედან – საპროცესო შეთანხმებით დასრულებული	6 519
სხვა შედეგი	5 809

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა

დარგი	რაოდენობა
სამოქალაქო სამართლის საქმეები	4 525
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	1 897

სამოქალაქო სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2023
753	2048	2317	2829	3134	2069	4261	4 525

ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით

2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2023
749	728	939	802	844	943	759	1492	1 897

ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული სამოქალაქო საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით

(სულ: 4 525 საქმე)

საკითხი	რაოდენობა
პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეები	2 511
საოჯახო დავები	755
სამემკვიდრეო დავები	26
სამოქალაქო სამართლის სხვა საქმეები	1 233

ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა საკითხების მიხედვით

(სულ: 1 897 საქმე)

საკითხი	რაოდენობა
ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საქმეები	340
თავშესაფრის მაძიებელთა დაცვა	260
სოციალური კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები	74
ადმინისტრაციული სამართლის სხვა საქმეები	1 223

**„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების
დაცვის საქმეების რაოდენობა**

(სულ: 1 939)

არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული	511
18 დან 21 წლამდე ბრალდებული	222
არასრულწლოვანი მოწმე	99
არასრულწლოვანი დაზარალებული	1 053
არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი	54
სულ:	1 939

**„ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბენეფიციარების
დაცვის საქმეების რაოდენობა**

ბავშვი	2 211
--------	-------

ბენეფიციარების რაოდენობა სერვისებისა და სქესის მიხედვით

სულ: 35 293

დარგი	კაცი	ქალი
სისხლის სამართლის საქმეები	13 744	1 738
სამოქალაქო სამართლის საქმეები	2 898	2 427
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	1 448	972
კონსულტაციები	4 578	7 488

წარმატებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა

(სტადიების მიხედვით)

ბიურო	გამამართლებელი	ნაწილობრივ გამამართლებელი	დევნის შენეწყვეტა	განრიდება
ბათუმი	13	0	20	5
თბილისი	20	19	120	23
ზესტაფონი	6	1	22	9
ქუთაისი	27	5	61	6
თელავი	21	9	25	8
სიღნაღი	2	0	14	1
მცხეთა	0	0	5	2
ზუგდიდი	8	2	13	1
ფოთი	5	0	5	0
ახალციხე	4	2	41	23
რუსთავი	15	7	33	4

გორი	3	2	31	12
ოზურგეთი	2	1	16	5
სპეციალიზებულ საქმეთა თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო	0	1	5	0
აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო	0	0	0	0
დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ბიურო	0	0	0	0
სულ:	126	49	411	99

გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა წლების მიხედვით

2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2023
18	28	6	22	48	58	53	50	130	98	110	126

წარმატებით დასრულებული სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეების რაოდენობა

(ინსტანციების მიხედვით)

ბიურო	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა (სასარჩელო)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (სასარჩელო)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა (განმცხადებელი)	მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (განმცხადებელი)
ახალციხე	3	3	10	1
ბათუმი	5	3	8	2
გორი	22	1	0	0
ზესტაფონი	3	1	1	1
ზუგდიდი	2	0	3	0
თბილისი	60	27	23	0
თელავი	1	0	4	1
მცხეთა	5	0	1	0
ოზურგეთი	0	0	5	0
რუსთავი	26	1	3	1
სიღნაღი	1	0	1	0
ფოთი	7	4	3	0
ქუთაისი	8	7	1	0

სპეც ბიურო	6	0	2	0
დას ბიურო	0	0	0	0
აღმ ბიურო	0	0	0	0
სულ	149	47	65	6

**იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული კონსულტაციების რაოდენობა
საკითხების მიხედვით - 24 539**

კონსულტაციების სახეობა

სახეობა	რაოდენობა
პირადი	10 719
სატელეფონო	5 428
ონლაინ	1 466
წერილობითი	507
გასვლითი	119
სულ	18 239

კონსულტაციების თემატიკა

სახეობა	რაოდენობა
სამოქალაქო	10 690
სისხლი	859
ადმინისტრაციული	1 369
სოციალური	639
სხვა	4 682
სულ	18 239

კონსულტაციის მიმღებთა სტატუსი

სახეობა	რაოდენობა
დროებით უმუშევარი	1 491
პენსიონერი	2 255
შშმ პირი	520
დევნილი	786
გადახდისუნარო	3 507
ეროვნული უმცირესობა	459
სახელმწიფო ენის არმცოდნე	384
უცხო ქვეყნის მოქალაქე	309
არაიდენტიფიცირებული / სხვა	6185

**იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ კონსულტაციის განვიხასა შედგენილი
სამართლებრივი დოკუმენტების რაოდენობა - 2 565**



XIV

სამსახურის ცნობადობა

1. სამსახურის ვებგვერდები

1.1. 2023 წელს იურიდიული დახმარების სამსახურში კვლავ განაგრძო ფუნქციონირება ვებგვერდებმა www.legalaid.ge /www.las.ge,

1.2. გაგრძელდა მუშაობა ახალ ვებგვერდზე www.new.legalaid.ge განახლდა ბლოგის ველი და ფორუმში მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად იცვლებოდა თემები.

იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდი www.legalaid.ge, 2023 წელს მოინახულა 79 000 - მა ადამიანმა. აქედან, 35% პირველად შემოვიდა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე.

ვებგვერდზე მოძებნილი თემატიკის პირველი ათეული ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით შემდეგია:

- მთავარი გვერდი - **14 037**
- მემკვიდრეობა - **11 578**
- ონლაინ კონსულტაცია ჩათის მეშვეობით - **10 152**
- პენსიის საკითხები - **8 778**
- საოჯახო სამართალი - **7 901**
- სოციალურ მონაცემთა დაცვის ერთიანი ბაზა **7 570**
- სოციალური დახმარება - **6 719**
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები **5 710**
- კონტაქტი - **3769**
- ქალთა მიმართ ძალადობა - **3516**

ქვეყნები საიდანაც სამსახურს დაუკავშირდნენ:

- საქართველო - **84,100%**
- სომხეთი - **3,2%**
- აზერბაიჯანი - **1,8%**
- გერმანია - **2,1%**
- აშშ - **1,1%**

ვიზიტორებმა ვებგვერდზე შემოსასვლელად გამოიყენეს შემდეგი სახის მონყობილობები:

- მობილური ტელეფონი - **68%**
- კომპიუტერი - **31%**
- ტაბლეტი - **0,5%**

ბავშვთა ვებგვერდი

იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდი www.children.las.ge, 2023 წელს მოინახულა 33 000 - ადამიანმა. მათი დიდი უმრავლესობა მთავარ გვერდს სტუმრობდა

ქვეყნები საიდანაც საიტს ეწვივნენ:

- საქართველო - **90%**
- აშშ - **3%**
- აზერბაიჯანი - **2,2%**
- საფრანგეთი - **2%**
- ჩინეთი - **1,8%**
- გერმანია - **1 %**
- ფინეთი **1%**

2. მედიაში ინფორმაციის გაშუქება

2023 წლის განმავლობაში ინტენსიურად შექდებოდა იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობა ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში. საზოგადოებრივი ადვოკატები, კონსულტანტები და იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა არხის ტელე-რადიო გადაცემებში, ონლაინ-პლატფორმებზე, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ მედია საშუალებებში. შეიქმნა 266 მედია-პროდუქტი.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი ადვოკატები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა გადაცემაში ან აკეთებენ კომენტარს ე.წ. „გახმაურებულ საქმეებთან“ დაკავშირებით მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის. იმ „გახმაურებული საქმეების“ მედიაპროდუქტების ოდენობა, რომელშიც იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ, ასევე 200-ზე მეტია.

3. სამსახურის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლები

2023 წელს ევროპის საბჭოს (COE) მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურმა დაამზადა ორი ანიმაციური ვიდეორგოლი არასწრულწლოვანთა უფლებების დაცვის შესახებ. ვიდეორგოლები განთავსებულია სოციალურ ქსელში:

<https://www.youtube.com/watch?v=lvEDkDpxnDI>



4. სოციალური ქსელი

იურიდიული დახმარების სამსახური სოციალურ ქსელში წარმოდგენილია შემდეგი სახით:



facebook.com/legalaid.ge



twitter.com/home/legalaid.ge



youtube.com/legalaid.geo

საანგარიში წელს სამსახურის facebook გვერდი ყველაზე აქტიურია ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით.

- გვერდის მოწონება - **39, 273**
- გვერდის გამომწერები - **38, 945**

ამავდროულად ფეისბუქის ჩატი - მესენჯერი ინტენსიურად გამოიყენება, როგორც იურიდიული კონსულტაციის განევის საშუალება.

2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მესენჯერში შემოვიდა - 20836 შეტყობინება - იურიდიული შეკითხვის სახით, რაზეც ქოლ-ცენტრის ოპერატორებმა გასცეს კვალიფიციური პასუხები.

5. რადიოპროექტი „სამართლებრივი რჩევები“

- **2023 წლის 23 იანვარი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“. თემა: ბავშვის განცალკევება, სტუმარი: სოფიო ჯოლოხავა, საზოგადოებრივი ადვოკატი. წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 29,739 ნახვა.
- **2023 წლის 30 იანვარი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“. თემა: მედიასამართლის აქტუალური საკითხები, სტუმარი: სერგი ჯორბენაძე, პროფესორი. წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. 19,291 ნახვა.
- **2023 წლის 6 თებერვალი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: მომხმარებელთა უფლებების დაცვა; სტუმარი თამარ ლაკერბაია - თსუ-ს ლექტორი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 46,437 ნახვა.
- **2023 წლის 13 თებერვალი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“ თემა: საერთაშორისო სანქციების გავლენა ქვეყნის შინა ეკონომიკაზე. სტუმარი: ლადო სირდაძე - სამართლის ინჟინერი, ბტუ ასოცირებული პროფესორი. წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე - 35,438 ნახვა.
- **2023 წლის 20 თებერვალი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: იურიდიული დახმარების სამსახურის 4 წლის საქმიანობის შეჯამება. სტუმარი - ნინო მელაძე - დირექტორის პირველი მოადგილე; წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე. 25,426 ნახვა.
- **2023 წლის 27 თებერვალი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“ თემა: ბავშვის უფლებები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. სტუმარი: ანა კუდუხაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 44,867 ნახვა.
- **2023 წლის 6 მარტი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ბავშვის აღზრდის ფსიქოლოგია; სტუმარი: თამარ სიმონია - ფსიქოლოგი; წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე - 64,385 ნახვა.

- **2023 წლის 27 მარტი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა ქირავნობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი გამოწვევები; სტუმარი: ნათია ბერძენიშვილი - ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 1,751 ნახვა.
- **2023 წლის 24 აპრილი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: კარტელური გარიგებების სამართლებრივი რეგულირება; სტუმარი: გიორგი მელაძე, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მთავარი სპეციალისტი და იურისტი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 11,256 ნახვა.
- **2023 წლის 1 მაისი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ქონების ეფექტიანი მართვა; სტუმარი: ანა ბაიაძე - საქართველოს ბანკის სამართლებრივი კვლევების ჯგუფის უფროსი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 22,184 ნახვა.
- **2023 წლის 8 მაისი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა- შვილად აყვანა და მინდობით აღზრდა; სტუმარი: თამარ ტატანაშვილი, თსუ-ს პროფესორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 47,241 ნახვა.
- **2023 წლის 15 მაისი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ზიანის დაზღვევა; სტუმარი: თეა უჭმაჭურიძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი კონსულტანტი - 24,473 ნახვა.
- **2023 წლის 22 მაისი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“ თემა: თავშესაფრის მაძიებლები; სტუმარი: თეა ყაულაშვილი- საზოგადოებრივი ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 13,576 ნახვა.
- **2023 წლის 5 ივნისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“; თემა: უსაფუძვლო გამდიდრება. სტუმარი: სიმონ ჩხაიძე- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 21,678 ნახვა.
- **2023 წლის 10 აპრილი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით სასამართლოს იარაღად გამოყენება; სტუმარი: ქეთი ბაშანურიძე- ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 25,327 ნახვა.
- **2023 წლის 13 მარტი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“ თემა: სამსახურის რეფორმები; სტუმარი: დავით სიმონია - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 68,735 ნახვა
- **2023 წლის 12 ივნისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“; თემა: კონკურენციის სამართლის მიზნები; სტუმარი: გიორგი ცერცვაძე - იურიდიული ფირმა „ჯეი ენ თი“ ქონსალტინგის მმართველი პარტნიორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 34,275 ნახვა.
- **2023 წლის 19 ივნისი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: იძულებითი გამოსახლების პრეცედენტები; სტუმარი: ეკა ახალკაცი - აღსრულების ეროვნული ბიუროს ანალიტიკური და სასამართლო წარმომადგენლობის სამსახურის უფროსი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 24,548 ნახვა.
- **2023 წლის 26 ივნისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“; თემა: თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემები; სტუმარი: ხატია არდაზიშვილი, მოსამართლე; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 16,237 ნახვა.
- **2023 წლის 3 ივლისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“; თემა: შრომის სამართალი; სტუმარი: ნათია ბერძენიშვილი- საზოგადოებრივი ადვოკატი; წამყვანი გიორგი ბაღდავაძე- 1,573 ნახვა.
- **2023 წლის 10 ივლისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“ თემა: სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართალში; სტუმარი: სოსო ვარძელაშვილი - სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 22,837 ნახვა.
- **2023 წლის 24 ივლისი** - გადაცემა: „სამართლებრივი რჩევები“; თემა: სამსახურის რეფორმები; სტუმარი: დავით სიმონია - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი; წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე. - 13,566 ნახვა.
- **2023 წლის 25 სექტემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ქორწინება- განქორწინების საკითხები; სტუმარი თეა ხამბაძე- ადვოკატი; წამყვანი - გიორგი ბაღდავაძე; - 32,937 ნახვა.
- **2023 წლის 2 ოქტომბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ძალადობის საკითხები; სტუმარი: გიორგი მდინარაძე-ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე - 16,539 ნახვა.
- **2023 წლის 16 ოქტომბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: შრომის სამართლის საკითხები; სტუმარი: ამირან მეშველიშვილი - ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 29,376 ნახვა.

- **2023 წლის 23 ოქტომბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: საპროცესო შეთანხმება; სტუმარი: მაია ხუციშვილი-ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 16,735
- **2023 წლის 30 ოქტომბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: კიბერდანაშაული; სტუმარი: ზვიად გაბისონია - სამართლის დოქტორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 27,397 ნახვა.
- **2023 წლის 6 ნოემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: თავდაცვის ახალი კოდექსი; სტუმარი: გრიგოლ გიორგაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 18,743 ნახვა.
- **2023 წლის 13 ნოემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ქალთა მიმართ ძალადობა; სტუმარი: სალომე დუდუჩავა-იურისტი; წამყვანი- გიორგი ბაღდავაძე; - 946 ნახვა.
- **2023 წლის 20 ნოემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი; სტუმარი: ნათია მახათაძე- სამართალმცოდნე პროფესორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე; - 23,445 ნახვა.
- **2023 წლის 28 ნოემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ბანკთან ურთიერთობა; სტუმარი: ლევან გვენეტაძე - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილე; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 43,278 ნახვა.
- **2023 წლის 4 დეკემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა; სტუმარი: თეა ყაულაშვილი - ადვოკატი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 27,245 ნახვა.
- **2023 წლის 11 დეკემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: ძალადობა და სამართლებრივი ცნობიერება; სტუმარი: გიორგი მდინარაძე-ადვოკატი; წამყვანი: ნინო ჩუტკერაშვილი - 17,248 ნახვა.
- **2023 წლის 25 დეკემბერი** - გადაცემა „სამართლებრივი რჩევები“; თემა: 2023 წლის შეჯამება; სტუმარი: დავით სიმონია - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი; წამყვანი: გიორგი ბაღდავაძე. - 24,991 ნახვა.

6. 2023 წლის კოსტების ნახვების რაოდენობა არის შემდეგი:


- **2023 წლის 17 იანვარი** - იურიდიული დახმარების სამსახურის კვალიფიციური ადვოკატები მონაწილეობას იღებდნენ იმიტირებულ სასამართლო პროცესში - 15,398 ნახვა.
- **2023 წლის 17 იანვარი** - იურიდიული დახმარების სამსახურის კვალიფიციური ადვოკატები მონაწილეობას იღებდნენ იმიტირებულ სასამართლო პროცესში - 22,546 ნახვა
